# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 ივნისი 2007 №123 (3046) ფასი 50 თეთრი




ლიუბინსკასის გაბუტულებს იანკაუსკას-ჟელიუსკასი მიემატა

ევროთარსი



ტოპმიოლერს რევიშვილი და მჭედლიძე გამოაკლდნენ

# ლიტვა და საქართველო ზარალით დაზავდნენ

*ძოწა ინასარიძე*
*კაუნასიდან*

არავითარი აჟიოტაჟი და მატჩისწინა ხმაური — ასეთი დამხვდა კაუნასი. ლიტვაში ფეხბურთი დიდად პოპულარული რომ არ იყო, ისედაც ვიცოდი, მაგრამ ასეთ ინერტულობას ნამდვილად არ ველოდი.

ლიტვის ნაკრები საკადრო პრობლემების ზღვაშია. იანკაუსკასი, ჟელიუსკასი, ველიჩკო, ჩესნაუსკისი — აი, ეს ფეხბურთელები არ ეყოლება ალგიმანტას ლიუბინსკასს. ამათგან პირველი ორი ტრავმირებულია; ველიჩკო საფრანგეთთან მატჩისას სათადარიგოთა შორის ყოფნამ გააბრაზა და ნაკრები დატოვა; ჩესნაუსკისი კი მწვრთნელს და ფედერაციის ხელმძღვანელობას არ ელაპარაკება.

ლიტველი ჟურნალისტებიც განსაკუთრებულ აქცენტს ამ ოთხეულზე აკეთებენ — ამათი არყოფნა ნაკრებს ძალიან დაეტყობაო. სხვათა შორის, იანკაუსკასი მალე გივი კვარაცხელიას და ნუკრი მანჩხავას თანაგუნდელი გახდება... „კაუნასის“ ქართველები კი კაუნასში ძალიან პოპულარულები ყოფილან.

ედგარას იანკაუსკასის ნაცვლად ლიუბინსკასმა ასევე კაუნასელ რიჩარდას ბენაიუშისს უხმო. ბენაიუშისი ის კაცია, ლიტვის მიმდინარე ჩემპიონატის 13 მატჩში 14 გოლი რომ გაიტანა და მისი ძალიან ეიმედებათ.

1922 წლის 7 მაისი ლიტვის ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა: ამ დღეს აქაური ჩემპიონატის პირველი მატჩი ჩატარდა. ერთი სიტყვით, ლიტველებს გადაუწყვეტიათ, საქართველოს ნაკრებთან პირველ შესარჩევ მატჩში ლიტვური ფეხბურთის 85-წლისთავი აღნიშნონ და საამისოდ გულშემატკივრებს საჩუქარი გაუკეთეს: ბილეთებზე 85-პროცენტიანი ფასდაკლებაა. ამგვარად, ლიტვა — საქართველოს მატჩის ბილეთის აწ უკვე დაკლებული ფასი 6-15 დოლარია.

დარიუსის და გირენასის სახელობის სტადიონი 9 000 კაცს იტევს და ამბობენ, აუცილებლად შეივსებაო. ეგ არის, აქაურ ფეხბურთის მოყვარულებს კალათბურთის პოპულარობა „ვერ მოუნელებიათ“ — კალათბურთის მატჩებისას 10000-იანი დარბაზი პირთამდე ივსება, ფეხბურთზე კი 9 000 კაცის მოსვლა სანატრელი გვაქვსო.

ბოლო ორი დღე კაუნასში 35-36 გრადუსი სიცხე ყოფილა, გუშინ კი ოდენ 15 გრადუსი და წვიმდა დაგვხვდა. ასეთივე ამინდს ვარაუდობენ დღესაც.

მატჩის პროგნოზი კი... ფრე ჩვენთვის იდეალური იქნებაო, ამბობენ მასპინძლები.

ლიტვის ნაკრებმა 17.30 საათზე ივარჯიშა, რის შემდეგაც მთავარ მწვრთნელ ***ალგიმანტას ლიუბინსკასს*** გავესაუბრე...

— როგორ განწყობაა გუნდში?

— წესით, განწყობა ორივე გუნდს, ლიტვასაც და საქართველოსაც კარგი უნდა ჰქონდეს. მართალია, საქართველომ ყველა ძლიერ გუნდთან წააგო და ქულები იოლ მატჩებში აიღო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენი თამაში გადაწყვეტს, რომელი გუნდი იმსახურებს უკეთეს ადგილს ცხრილში. ისე კი, ტურნირის ბოლოს ვითარება ასეთი იქნება: პირველ ადგილზე საფრანგეთი გავა, მეორეზე იტალია, მესამეზე უკრაინა, მეოთხეზე შოტლანდია, მეხუთეზე საქართველო, მეექვსეზე ლიტვა, მეშვიდეზე ფარერები.

— ყველაფერი გცოდნიათ და რაღას თამაშობთ...

— ვიცი და ასეც მოხდება. აი, ნახავთ...

— რას ელით საქართველოსთან მატჩისგან? სიურპრიზებს შესთავაზებთ მეტოქეს?

— სიურპრიზი აუცილებლად იქნება. მეტს ვერაფერს გეტყვით...

— ზოგადად, როგორ თამაშს ელით?

— ორმხრივად შემტევს. ვიცი, რომ ტოპმიოლერსაც შეტევა უყვარს და მეც ასეთი სტილის მწვრთნელი ვარ.

— ქართველთაგან ვის უფრთხით?

— კონკრეტულად არავის. საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელი სახიფათოა. საერთოდაც, ჩემი აზრით, ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველოს ყველაზე კარგი ფეხბურთელები ჰყავს.

— მეტოქეს კარგად იცნობთ?

— შოტლანდია — საქართველოს მატჩის ფირი ვნახე. თქვენებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ უხეში შეცდომის გამო წააგეს, ისევე, როგორც ჩვენ საფრანგეთთან...

საქართველოს ეროვნული ნაკრები ლიტვა-საფრანგეთთან სათამაშოდ მზადებას გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში განაგრძობს.

კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი გუშინაც ერთხელ ავარჯიშა და სამწუხაროდ, ტრავმებს ისევ და ისევ ვერ აცდა: ნაკრებს უკვე გამოაკლდა ყაზანის „რუბინის“ მეკარე ნუკრი რევიშვილი, რომელმაც ფეხი იტკინა და შეკრება უკვე დატოვა.

მუხლის ტრავმა მიიღო 19-წლამდელთა ნაკრებიდან მიწვეულმა შემტევმა ლევან მჭედლიძემაც. იტალიური „ემპოლის“ 17 წლის ფორვარდი უმალ საფეხბურთო კლუბ „აინტრახტის“ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც გამოკვლევა ჩაუტარდა და ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა მჭედლიძე ეროვნულ ნაკრებში.

დღეს, თბილისის დროით, 13 საათზე, საქართველოს ნაკრები ჩარტერული რეისით ჩავა კაუნასში და სასტუმრო „კაუნასში“ დაბინავდება. დღესვე, საღამოს, კლაუს ტოპმიოლერი ლიტველი და ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს, მოგვიანებით კი იმ სტადიონზე ივარჯიშებს, რომელზეც 2 ივნისს ევროშესარჩევი მატჩი შედგება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# ისევ ის: მსოფლიო ფეხბურთის ბელადი

## იოზეფ ბლატერი მესამე წრეზე წავიდა



71 წლის ზეპ ბლატერი გუშინ მესამედ აირჩიეს ფიფას პრეზიდენტად. შვეიცარიელს კონკურენტი არ ჰყავდა — ერთადერთი კანდიდატი იყო და 208 ნევრიდან ხმა 166-მა მისცა.

ბლატერი ფიფაში 1975 წლიდანაა. ექვსი წელი ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა, შემდეგ კი (1981-88 წლებში) გენერალურ მდივნად.

1988-ში, ჟოაო ავლანჟის წასვლის მერე, არჩევნებში უეფას მაშინდელი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი დაამარცხა, 2002 წელს კი აფრიკის კონფედერაციის პრეზიდენტ ისა ჰაიატუს სძლია.

ზეპ ბლატერი ფიფას 103-წლიან ისტორიაში მერვე პრეზიდენტია.

საქართველო — ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი ახლოვდება. 5 ივნისს ევრო 2009-ის ჩვენი შესარჩევი ჯგუფი სწორედ ამ თამაშით გაისხნება. პეტარ სეგრტის გუნდი უკვე რამდენიმე დღეა, საამმატჩოდ ემზადება, თუმც ჯერ შემადგენლობა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, 40-მდე ფეხბურთელია გამოძახებული... მზადების პროცესზე სეგრტის თანაშემწე გელა შეყილაძემ გვითხრა...





# სეგრტი საესპანეთო სიას ამერზე აარჩევს

— ეს დღეები თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე ვივარჯიშეთ, ხვალ კი „ამერის" სტადიონზე ორმხრივი მატჩი გვექნება. შეიძლება ითქვას, სწორედ ხვალიდან ვიწყებთ საესპანეთოდ ინტენსიურ მზადებას.

— საბოლოო შემადგენლობა როდის გამოცხადდება?

— ორმხრივი მატჩის შემდეგ. პეტარ სეგრტი ამ თამაშის მიხედვით გააკეთებს საბოლოო არჩევანს.

— ტრავმირებულები ხომ არ გყავთ?

— არა, ყველა ჯანმრთელადაა. სხვათა გარდა, 19-წლამდელთა ნაკრებიდან ათამდე ფეხბურთელი გვყავს გამოძახებული, ისინი გუშინ ღამე დაბრუნდნენ შოტლანდიიდან და, ვფიქრობ, ხვალინდელ ორმხრივ მატჩში ითამაშებენ. ასე რომ, ვნახავთ ბიჭებს და კონკრეტულს მერე ვიტყვით...

**ლუკა თალაკვაძე**

# მსაჯები და მსაჯთა მსაჯები





რობერტ კრანიჩი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ესპანეთის 5 ივნისის ევროშესარჩევ მატჩს სლოვენიელი მსაჯები, რობერტ კრანიჩი, ბოიან ული, რობერტ ზირშტაინი და რობერტო პონისი რომ მოემსახურებიან, რამდენიმე დღის წინ გამცნეთ.

გუშინ კი გაირკვა, რომ ამ მატჩში მსაჯთა დამკვირვებელი ებრაელი არი ფროსტი იქნება, ხოლო უეფას დელეგატი შვეიცარიელი ბერნარ კარელი.

**ოთარ მხეიძე**

# ბილეთები, ბილეთები

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 5 ივნისს თბილისში ეროვნულ სტადიონზე ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი თავის წევრებს უფასო ბილეთებით ასაჩუქრებს.

ბილეთების მსურველებმა მიმართეთ ფან-კლუბის ოფისს ეროვნულ სტადიონზე. დამატებითი ინფორმაცია შემდეგ ტელეფონზე: 542-542.

მატჩზე დასასწრები ბილეთები კი გაიყიდება 5 ივნისს ეროვნული სტადიონის სალაროებში 11 საათიდან 20 საათამდე. ფასი 3 ლარი.

*სფფ-ის პრესცენტრი*

## შვედეთი

სუპერეტა

VIII ტური

**ფალკენბერგი 1:1 სირიუსი**

**ჰეკენი 2:0 იონკოპინგი**

## პოლონეთი

ლიგის თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ვროცლავი 3:0 ზაგლებე (3:3)**

## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი. I ტური

**სომხეთი 1:0 ლიხტენშტაინი**

# რატი წინამძღვრიშვილმა სიხარული ტელევიზორში ნახა ვერ გავიგე, რას გვერჩოდა იღბალი



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიიდან დაბრუნდა, სადაც წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდი დასრულდა. ჩვენები ჯგუფში მასპინძელ შოტლანდიასთან, პორტუგალიასთან და თურქეთთან მოხვდნენ. ქართველებმა პორტუგალიასთან (0:0) და თურქეთთან (1:1) ფრე ითამაშეს. მხოლოდ მასპინძელ შოტლანდიასთან (1:2) წააგეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩვენების ჯგუფიდან პორტუგალია ითამაშებს. შოტლანდიაში ქართველებმა სამი ბურთი გაუშვეს და ორი გაიტანეს. აქედან ერთი ეფექტური გოლი თბილისის „ამერის" თავდამსხმელმა რატი წინამძღვრიშვილმა შეაგდო, რომელმაც სანაკრებო მატჩების გამო „ამერი" — „ზესტაფონის" სათასო ფინალი გამოტოვა...

— თავიდანვე ვიტყვი, რომ მართლა არ გაგვიმართლა. არც ერთი მეტოქე არ იყო ჩვენზე ძლიერი. ჯგუფში პირველს თუ არა, მეორე ადგილს აშკარად ვიმსახურებდით — გვითხრა შოტლანდიიდან დაბრუნებულმა რატი წინამძღვრიშვილმა.

— **მაინც რაში არ გაგიმართლათ?**

— პირველ მატჩში ჯგუფის ფავორიტ პორტუგალიას ვხვდებოდით. პორტუგალია ჩვენზე ოდნავ სწრაფად მოძრაობდა, თუმც ვერაფრით გვჯობდა. სანახევრო მომენტები ორივეს გვქონდა. ბოლო წუთზე კი ნიკა კვასხვაძე პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ბურთი მილიმეტრებით აცილა კარს. შოტლანდიასთან კი მე არ მითამაშია. მატჩის განაცხადში უნდა შევეყვანე, როცა გვითხრეს, რომ თამაშის უფლება არ მქონია. ელიტ-რაუნდამდე ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთი ყვითელი ბარათი მქონია, რომელიც თურმე ელიტ-რაუნდში არ უქმდებოდა. პორტუგალიასთან მიღებულმა მეორე ყვითელმა კი შოტლანდიასთან მატჩი გამომატოვებინა. არადა, ისეთი თამაში იყო, დარწმუნებული ვარ, გოლს გავიტანდი. თავიდან ჩვენ დავწინაურდით, მერე გაგვითანაბრეს და მსაჯმა ლევან მჭედლიძეც გაგვიგდო. მჭედლიძე მეტოქის პროვოკაციას აჰყვა. ათი კაცით ვიყავით, მაგრამ რაც ნაკრებში ვარ, ასე მაგრად არ გვითამაშია. მომენტები ბლომად გვქონდა, შოტლანდიელებს კი იქამდე განსაკუთრებული არაფერი არ გაუკეთებიათ. ბოლო წუთზე საჯარიმოში ჩაკიდეს ბურთი, მათი თავდამსხმელი საიდანღაც გამოძვრა და ნახტომში თავით გაგვიტანა. მსაჯის დამატებულ წუთებზე გათანაბრება შეგვეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ალექსი ბენაშვილმა ვერ გაიტანა.

— **უიღბლობა თურქეთთანაც გაგრძელდა...**

— თანაც, წინა შესარჩევში თურქებმა 6:0 მოგვიგეს და რევანშიც გვწყუროდა. თურქებს მართლა ვაჯობეთ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში კვლავ კაცი გაგვიგდეს — ჩემს გოლამდე მსაჯმა ბექა გოცირიძე გააძევა, რომელიც შემტევია, მაგრამ ამ მატჩში მარჯვენა მცველად თამაშობდა. გოლი კი მართლაც ეფექტური გამოვიდა. თურქი მეკარე საჯარიმოს სიახლოვეს თავისიანს აძლევდა პასს, რომელიც ჩავჭერი და საჯარიმოს კიდიდან შორეულ კუთხეში დავარტყი ძლიერად. ამის შემდეგ კიდევ გვქონდა მომენტები, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა. პირიქით, აქეთ გაგვიტანეს. მერე სტადიონზე გამოაცხადეს შოტლანდია — პორტუგალია 3:3 დამთავრდაო და თურქებმა კაცნაკლულებს მაგრად შემოგვიტიეს. უკვე აღარც მინდა ვახსენო ის ავბედითი ბოლო წუთი. არადა, ზუსტად ბოლო წუთზე გულვერდ თომაშვილმა ცარიელ კარს გადააცილა...

— **ჰაინც ტოპმიოლერი ალბათ უკმაყოფილო დარჩა...**

— შედეგის გათვალისწინებით, ცხადია, ასეც იქნებოდა, მაგრამ თამაშის ხარისხით კმაყოფილი იყო და შეგვაქო კიდეც.

— **შოტლანდიაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც იყო...**

— იგი ვარჯიშის ან შემადგენლობის შერჩევის პროცესში არ ჩარეულა. ყოველი შემთხვევისთვის, ასეთი არაფერი შემიმჩნევია.

— **კლაუს ტოპმიოლერს სამომავლოდ ეროვნული ნაკრებისთვის ლევან მჭედლიძის გარდა ვინმე არ შეურჩევია?**

— არაფერი ვიცი. ლევან მჭედლიძე კი ძალიან მოეწონა და ნაკრებშიც გამოიძახა. ისე, ლევანი მართლაც ძლიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია. შოტლანდიაში კი ჰაინც ტოპმიოლერი მარცხენა ნახევარმცველად ათამაშებდა.

— **ერთსაც გკითხავ. საქართველოს თასის ფინალში ვერ ითამაშე. შოტლანდიაში უყურე ამ მატჩს?**

— რუსთავი 2-ს კი იჭერდა, მაგრამ ცუდი სიგნალი იყო და ხარვეზებით ვუყურე. ნაკრებში ჩემმა ზესტაფონელმა თანაგუნდელმა ალექსი ბენაშვილმა და მე გავუძელით „რეპორტაჟს", კიდევ ერთმა ზესტაფონელმა ნიკა კვასხვაძემ კი საერთოდ ვერ უყურა, მაგის ნერვები არ მაქვსო. როგორც კი მატჩი დასრულდა, ბენაშვილს მეგობრულად „მივაწექი". მე კი, ცხადია, სიხარულისგან დავხტოდი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდოდა აქ ყოფნა, თამაში, ბიჭებთან ერთად სიხარულის გაზიარება...

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგელი უნდა იყო, მგელი!

## გია გურული: ფრანგები ქართველებს ალმაცერად სულაც არ უყურებენ



საფრანგეთი — საქართველო, სავარაუდო ლეგიონერების ჩამოყვანა საქართველოს ჩემპიონატში ან პირიქით, აქედან საფრანგეთის ჩემპიონატში წაყვანა — საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურულს ამაზე სასაუბროდ საფრანგეთში დავუკავშირდით და რაღაც სიახლეებიც გავიგეთ...

## იაშვილის ოსერი იქაც სცოდნიათ...

— 6 ივნისს საფრანგეთი საქართველოს ხვდება, მანამდე კი უკრაინას ეთამაშება. რა განწყობა აქვთ ფრანგებს, მხოლოდ უკრაინას აგდებენ სათვალავში?

— სხვათა შორის, ალმაცერად სულაც არ გვიყურებენ. მართალია, საფრანგეთმა თბილისში ადვილად მოგვიგო, მაგრამ მაინც ფრთხილად არიან, იციან, რომ კარგი ფეხბურთელები გვყავს, ასე რომ... მთავარი უკრაინაა და საქართველოსთან გამზადებული სამი ქულა ჯიბეში გვაქვსო — ასეთი რამ აქაურ გაზეთებში მართლა არ წამიკითხავს.

— თუმცა საქართველოსთან ვერმოგებას ალბათ სიცრხვილად ჩათვლიან...

— ამიტომაც ემზადებიან ფრანგები ძალიან მონდომებით. „ფრანს ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუებში რაიმონ დომენეკი და ფეხბურთელებიც ამბობენ, ფრთხილად უნდა ვიყოთო. თუმც, ცხადია, ჯერ მთლიანად უკრაინასთან მატჩზე ფიქრობენ.

— თქვენი ვაჟი, სანდრო, საფრანგეთის მეოთხედივიზიონულ „ლისკუენში" რჩება?

— არა, სანდრო კლუბს გამოიცვლის, თუმცა ჯერ უცნობია, სად გადავა.

— დაახლოებით ერთი თვის წინ ლაპარაკი იყო ალექსანდრე იაშვილის „ოსერში" გადასვლაზე და თქვენ უკეთ გეცოდინებათ ამის თაობაზე...

— დეტალურად არ ვიცი, მაგრამ მეც გავიგე, რომ იაშვილით „ოსერი" სერიოზულადაა დაინტერესებული. მეტს ვერაფერს გეტყვით...

— ქართულ კლუბებში რამდენიმე ლეგიონერი ჩამოიყვანეთ. ამ ზაფხულს კიდევ უნდა ველოდოთ ტრანსფერებს?

— რუსთავის „ოლიმპი" და ზესტაფონი" დამიკავშირდნენ ამის თაობაზე. ვნახოთ, ჯერ საბოლოო პასუხი უნდა მივიღო ამ კლუბებისგან, კონკრეტულად რა ამპლუის ფეხბურთელები სურთ, რა პირობებს შესთავაზებენ...

— საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რომელიმე ფეხბურთელზე ხომ არ აპირებთ რეკომენდაციის გაწევას ფრანგული კლუბებისთვის?

— ეგ ცოტა საძნელო საქმეა, იმიტომ, რომ კარგად უნდა ვიცნობდე ამ ფეხბურთელს, ანუ საქართველოში უნდა ვიყო. ზოგადად, ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ, ესა და ეს ფეხბურთელი მაგარია და ნახეო, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატში სხვა დონეა — ქართული ფეხბურთი 90 პროცენტი ტექნიკაა, აქ დასამკვიდრებლად კი მარტო ტექნიკა არ კმარა, ფიზიკურად მგელივით უნდა იყო...

**ილია ნანობაშვილი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

## იცინის ყველა, ტირის ერთი

### როდის დატოვებს კაპიტანი გემს?

**ლიტვის** ნაკრები საქართველოსთან მატჩში ალბათ გუნდის კაპიტან ტომას დანილევიჩუსს მოიაკლისებს, რომელსაც ტრავმა მოუშუშდა კი არა, უფრო და უფრო გაუმიზეზდა. ეროვნული გუნდის დირექტორ რიმას ტაუტკუსის განცხადებით, ბალტიელთა კაპიტანი საოპერაციოა, თუმც მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი მის გამოჯანმრთელებას მაინც იმედით ელის...

— კაპიტანი ყოველთვის ბოლოს ტოვებს გემს. თუ მოგვეცა იმის საშუალება, რომ დანილევიჩუსმა ტკივილგამაყუჩებლებით მაინც ითამაშოს, ჩვენ მას აუცილებლად გამოვიყენებთ. თამაშის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, მაგრამ საკითხავია, ითამაშებს კი სრული ძალით? ამჟამად მას ბურთთან ყველა შეხებისას ტკივილი აწუხებს — უთხრა ჟურნალისტებს ლიუბინსკასმა.

ლიტველები თითქმის ყოველი ვარჯიშისას ორკარასაც თამაშობენ და იქაური ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაში მარიუს სავინასია, გუნდი კი საბრძოლველად მზადაა. ამას არც ლიუბინსკასი მალავს:

— გუნდში ყოველდღე იცვლება სიტუაცია. თუ პირველ დღეს ბაზაზე სიჩუმე მეფობდა, ახლა ყველა კუთხეში სიცილი და მხიარულებაა. ბიჭები კარგ განწყობაზე არიან და საბრძოლველად ემზადებიან. ვფიქრობ, იმაზე უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე საფრანგეთთან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





საქართველოს ნაკრების კარში ბურთის გამტანი კრის ბოიდი ავსტრიასთან უგოლოდ დამვრა

## შოტლანდიამ ევროპასთან ივარჯიშა

**სანამ** ევროშესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ერთმანეთში სათამაშოდ ემზადებიან, უქმად დარჩენილმა შოტლანდიამ ამხანაგური მატჩი გამართა ავსტრიელებთან.

იმის მიუხედავად, რომ სქოთები მეტოქეს სტუმრობდნენ, თამაში მათი აშკარა უპირატესობით წარიმართა და 59-ე წუთზე გარი ოკონორის გატანილი გოლით მოიგეს კიდეც.

სტუმრებს კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

ამ მატჩისთვის შოტლანდიელთა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა ექსპერიმენტებს მიმართა და, ჩანს, გაუმართლა კიდეც.

სქოთებმა ევროპის მომავალი ჩემპიონატის თანამასპინძელთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*მაკგრეგორი (გორდონი 46), ალექსანდერი (ჰატონი 71), ვეირი (ჰართლი 46), კოლდუელი, ნეისმიტი, მელოუნი (ადამი 67), ფლეტჩერი, ფერგიუსონი, მაკკალოხი (დეილი 46), ოკონორი (მაკმანუსი 87), ბოიდი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## იტალიის ფარერ-ორი

**ჩვენი** ერთ-ერთი მეტოქე, იტალიის ნაკრები 2 ივნისს ფარერებს, 6-ში კი ლიტვას ეთამაშება. ფარერებთან მატჩს მსოფლიოს ჩემპიონები დანაკლისით ხვდებიან — ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ჯანლუკა ძამბროტა და მასიმო ამბროზინი. ძამბროტას მუხლი აწუხებს, ამბროზინი კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაშავდა, კოჭს იტკივებს.

ექიმების ვარაუდით, ლიტვასთან მატჩისთვის ორივე ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაში იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ვინც ექია, ვერ იპოვა

**მოსამზადებელი** ეტაპი ემლება უკრაინის ნაკრებს. როგორც ცნობილია, ისინი 6 ივნისს ახალზელანდიელებს ამხანაგურად უნდა გაჯიბრებოდნენ, მაგრამ ოკეანეთელებმა ბოლო წამს უგანეს — მიზეზად რვა ფეხბურთელის ტრავმა დაასახელეს.

ბევრს ეცადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდისთვის სპარინგ-პარტნიორის მოძებნას, მაგრამ ამაოდ — 6 ივნისს უკრაინელებს უქმობა მოუწევთ.

ამ ფაქტმა ყველაზე მეტად, ცხადია, მათი თავკაცი ოლეგ ბლოხინი შეაშფოთა:

„6 ივნისის მატჩი იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ რამდენიმე დებიუტანტის შემოწმების კარგი საშუალება გვექნებოდა. შესარჩევ ციკლში ამას ვერ ვრისკავ, ისევ უახლოეს ამხანაგურებს უნდა დაველოდო".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



პოლ კესანი



ლეანდრო

# გაბონიჩას მეორმოცე მალავისთან გამოჩნდება

## ლეანდრო ზესტაფონს შორდება

„ზესტაფონის“ გაბონელი ლეგიონერი პოლ კესანი თავის ქვეყნის ნაკრებშია მიწვეული. 3 ივნისს გაბონელები მალავის სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრებიან. სხვათა შორის, ეს მატჩი პოლ კესანისთვის მე-40 იქნება ეროვნულ გუნდში.

აქვე კიდევ ერთ ზესტაფონელ ლეგიონერზე, ლეანდრო ტემპორინიზეც ვთქვათ. ბრაზილიელ თავდამსხმელს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ჰქონდა და, როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონი“ მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს.

ისე, ეს მოსალოდნელიც იყო: ლეანდროს უმეტესად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა.

და სავარაუდო მომსვლელზეც: კულუარული ინფორმაციით, შეიძლება, „ზესტაფონს“ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, რუსთავის „ოლიმპის“ გარემარბი გიორგი კახელიშვილი შეემატოს. როგორც ჩანს, ტემპორინის ადგილს სწორედ ის შეავსებს.

ზესტაფონელთა პრესსამსახურის უფროსის სერგო ფუტკარაძის თქმით, ჯერ ცნობილი არაფერია, თუმც გუნდი ყველა რგოლში ეცდება თითო მაღალი კლასის ფეხბურთელით გაძლიერებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საჩხერის ჩიხურა ისევ უმაღლესისთვის იბრძვის

**საჩხერის** „ჩიხურა“ ფინანსური პრობლემების გამო, შესაძლოა, უმაღლეს ლიგას დაემშვიდობოს, არადა, ეს ადგილი მართლაც უშელავათო ბრძოლაში მოიპოვა, როდესაც პლეი აუტში დამატებით დროში 2:1 დაამარცხა „გაგრა“.

„ჩიხურას“ ასეთი მდგომარეობა რომ გაიგეს, მის ადგილზე პრეტენზია ერთბაშად სამმა გუნდმა განაცხადა — ფოთის „კოლხეთი“, გორის „დილა“ და „ცხინვალი“.

როგორც შევიტყვეთ, საჩხერელები უმაღლესში დარჩენაზე ფიქრობენ — კლუბის ხელმძღვანელობა დღე-დღეზე თბილისში ჩამოსვლას და სპონსორების პოვნას გეგმავს.

შესაძლო სპონსორებთან მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში უნდა დაიწყოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალექსანდრე ჩივაძე: ჩვენი ვარსკვლავი ვარსკვლავთ შორის



**13 ივნისს** მოსკოვის „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე რინატ დასაევს 50 წელი შეუსრულდება.

80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერს მოსკოვში დიდ იუბილეს უწყობენ, „ლუჟნიკიზე“ კი მაშინდელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ვეტერანი ვარსკვლავები ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

„საბჭოეთის ვარსკვლავებში“ ალექსანდრე ჩივაძეცაა მიწვეული — „ოქროს დინამოს“ და საბჭოთა ნაკრების კაპიტანი.

მსოფლიოს ნაკრებში ითამაშებენ რონალდ კუმანი, გეორგე ჰაჯი, მიქაელ ლაუდრუპი, ტონი პოლსტერი, კრასიმირ ბალაკოვი, ული შტილიკე, ჟორჟ ვეა, ხულიო სალინასი, ენტონი სუბისარეტა და უინტონ რუფერი.

„მსოფლიოელებს“ ლეგენდარული ფრანგი მწვრთნელი მიშელ იდალგო უთავკაცებს, „საბჭოელებს“ კი — ნიკიტა სიმონიანი.

**ილია ნანობაშვილი**

# ქეცბაიას საწუხარი: საქართველოდან კვიპროსამდე შორია



**2000 წლის სექტემბერი იყო, საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 4:0 რომ მიანგრია ლიტვა — მუნდიალის შესარჩევის რიყრაყზე ჩვენებმა სამ ქულასთან ერთად ლამაზი, თამაშიც აჩვენეს, პირველი ორი კი თემურ ქეცბაიამ გაიტანა. გუშინ ქეცბაიას კვიპროსზე რომ დავუკავშირდით, ლიტვასთან თამაშზეც ველაპარაკეთ, თავიდან კი, ცხადია, მისი განვრთნილი „ანართოსისის“ ამბებზე და მომავალ გეგმებზე ვკითხეთ. შეხსენებისთვის, თემურმა მოთამაშის კარიერა ორიოდ კვირის წინ დაასრულა, კვიპროსის თასის ფინალში ბოლო ათი წუთი ითამაშა და...**

— ჩვენთვის ცუდი სეზონი ნამდვილად არ ყოფილა. ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ თასი ავიღეთ. გაისად „ანართოსისი“ ორივე ფრონტზე გამარჯვებისთვის იბრძოლებს, ამის ამბიცია და შესაძლებლობა გვაქვს.

— ჩემპიონი აპოელ-ი პოტენციურად „ანართოსისზე“ ძლიერია?

— საერთოდ, აქ დაძაბული ჩემპიონატია და ბოლო ხუთ წელიწადში ოთხი სხვადასხვა გუნდი გახდა ჩემპიონი. კვიპროსზე ფეხბურთის დონემ აიწია, იოლად ვერავინ ვერაფერს იგებს.

— ცნობილ ბრაზილიელ ბომბარდირ მარიო ჟარდელზე გკითხავთ. როგორ ფორმაშია, რამდენად დაეხმარა „ანართოსისს“?

— ჟარდელმა მეორე წრე ითამაშა ჩვენთან. ის რომ ადრე მართლაც კარგი თავდამსხმელი იყო, ყველამ იცის, მაგრამ გავუშვით — ვერ თამაშობდა იმ დონეზე, რასაც მისგან ვითხოვდით.

— „ანართოსისს“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა შეუძლია?

— ძალიან ძნელია ამაზე ლაპარაკი. ჩვენ ვეცდებით და ვნახოთ...

— ლაპარაკი იყო, ზაფხულიდან ქეცბაია ერთ-ერთი ბერძნული კლუბის მწვრთნელი გახდებაო...

— არავითარი კონკრეტული წინადადება არ მიმიღია. გადაწყვეტილია, რომ „ანართოსისში“ ვრჩები.

— რომელიმე ქართველი ფეხბურთელის გამოჩენას ხომ არ უნდა ველოდოთ თქვენს გუნდში?

— ასეთი რამ ჯერ არ იგეგმება.

— საქართველოში ჩამოდიხართ ხოლმე და აქაური ჩემპიონატის დონეზეც იცით. კვიპროსის პირველობა ბევრად სჯობია ჩვენსას?

— შედარებაც კი ძნელია. აქ გაცილებით მაღალია თამაშის ხარისხი, მეტი კარგი დონის ფეხბურთელია. სამწუხაროა, მაგრამ ასეა...

— ეს ყველაფერი ალბათ კვიპროსის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერების წყალობით...

— ასეა. აქ ყველა წამყვანი გუნდის ლიდერი ლეგიონერია, მაგრამ მათ გვერდით ადგილობრივებიც სწავლობენ. კვიპროსის ნაკრების ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლა ზღაპარია, მაგრამ ამ შესარჩევში ირლანდიას 5:2 მოუგეს, გერმანიას ფრედ ეთამაშნენ. ანუ რაღაც პროგრესი ნაკრებსაც აქვს. ისტორიულად, აქ გრანდ ნაკრებებსაც კი უჭირდათ მოგება, ბევრი გამწარებულა კიდეც...

...ახლახან საქართველოს თასის ფინალს დავესწარი. ცუდი თამაში მართლა არ იყო, მაგრამ კვიპროსზე უფრო მაღალი დონეა. ვერ ვიტყვი, რომ აქ დიდი ფული იდება ფეხბურთში, მაგრამ ფაქტია, უფრო წელგამართული კლუბებია.

— 2 ივნისს ლიტვა — საქართველოა. ბალტიისპირელებთან რამდენჯერმე გითამაშიათ და გოლებიც გაგიტანიათ...

— შვიდი წლის წინანდელთან შედარება არ გამოვა. კონკრეტულად ახლა როგორაა მომზადებული ლიტვის ნაკრები, არ ვიცი. ერთი კია, ჩვენი ლეგიონერების უმეტესობას ორი კვირის წინ დაუმთავრდა სეზონი და საშიშია, თამაშის პრაქტიკის უქონლობამ არ იქონიოს გავლენა. ისე, არა მგონია, ლიტვას იმხელა პროგრესი ჰქონდეს, რომ საქართველოს ნაკრებს მასთან მოგება არ შეეძლოს...

**ილია ნანობაშვილი**

# ფრთები ქართული ტვინით



**რუსი** სპეციალისტები სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენად სამარის „კრილიას“ მიიჩნევენ. „კრილია“ თერთმეტი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და თამაშის ხარისხითაც შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამარული გუნდის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად საქართველოს ნაკრების ფეხბურთელ დავით მუჯირს ასახელებენ.

აი, რას წერენ რუსები: „საწყისი ხუთი ტური „კრილია სოვეტოვისთვის“ ისე წარიმართა, როგორც ჩვეულებრივი რიგითი გუნდისთვის. მათ აშკარად უჭირდათ გოლის გატანა, მაგრამ გუნდი თანდათან ფორმაში შევიდა, როდესაც მათი ტვინი დავით მუჯირი ათამაშდა. მას სეზონის წინ ტრავმებმა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავების გამო სავიზო პრობლემებმა გუნდთან შეთამაშების საშუალება არ მისცა. თუმც მუჯირმა მალევე აუღო ალღო სიტუაციას და ჩვეულად ათამაშდა. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა თავდამსხმელებს და გოლებმაც იხშირა“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მასხარის პროტესტი
## მაუ და მისი ძაღლის მუცელი

**რამდენიმე დღეა, ინგლისური პრესის სპორტულ გვერდებზე მთავარი თემა გრემ პოლი და მის ირგვლივ დატრიალებული ამბებია. „სარბიელის“ მკითხველს მოეხსენება, რომ 43 წლის მსაჯმა ნებადართულზე ოთხი წლით ადრე გადაწყვიტა, ჩამოშორებოდა საქმეს. მიზეზი: პოლის თქმით, ფეხბურთის ასოციაციამ არბიტრები მწვრთნელებსა და მოთამაშეებს საჯიჯგნად მიუგდო...**



კერძოდ, ისტორია, რომელმაც პოლს სასტვენი გადააგდებინა, „ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ნოემბრის მატჩის დროს დატრიალდა. პოლმა „ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი ორი ყვითელი ბარათით მოედნიდან გააძევა, რის შემდეგაც ტერიმ მას გინებაში დასდო ბრალი.

ერთი სიტყვით, ინციდენტი მსაჯისა და „ჩელსის“ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ლონდონელებმა ისიც კი თქვეს, მსაჯი ჩვენს ფეხბურთელებს ჭკუის სწავლებას დაჰპირდაო და სხვა.

და აი, გუშინ, გრემ პოლმა ხატოვნად განაცხადა, რომ „ჩელსის“ პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მაურინიუ საკუთარი ძაღლის მუცელზე დაბლა დაეცა.

შეგახსენებთ, ორიოდ კვირის წინ შესაბამისმა სამსახურმა მაურინიუს საყვარელი ძაღლი, როგორც აუცრელი და ქვეყანაში უკანონოდ შესული, ბრიტანეთიდან გააძევა. მაურინიუმ თავიდან ცხოველის გადამალვა სცადა, მაგრამ ის თავად დააკავეს, პოლიციაში წაიყვანეს და თითის ანაბეჭდები აუღეს.

პოლი: „მაურინიუ მართლაც ძალიან ძლიერი მწვრთნელია და მოედნის კიდეს რომ მოშორდება, ჩინებული პიროვნებაც გახლავთ, მაგრამ როდესაც მოედნის კიდესთან დგას და მსაჯებთან უწევს ურთიერთობა, საკუთარი ძაღლის მუცელზე დაბლა ეცემა ხოლმე. კარგი რა, ჟოზე, მომდევნო სეზონში რაღაც დონე გვაჩვენე!“

პოლმა ჟოზე მაურინიუ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთ-ერთი შეხვედრის დროსაც გააძევა.

მაურინიუ: „მე მაშინ პოლს ჯერ კიდევ „ტოტენჰემის“ მატჩიდან ჩარჩენილი ორიოდ რამ ვუთხარი“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გრემ პოლი თავის დღევანდელ გაბრძოლებაში ხაზს უსვამს, რომ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან გახშირებული კონფლიქტების შემდეგ, ფეხბურთის ასოციაცია ან იმალება ან ხსენებული მწვრთნელებისა და ფეხბურთელების მხარეს იჭერს. პოლმავე დაიჩივლა ფანებთან გართულებულ ურთიერთობათა ამბავზეც. თურმე მას მავანმა ფანებმა ოჯახთან ერთად რესტორანში შესულს მიაყენეს შეურაცხყოფა, ხოლო მისი ერთ-ერთი კოლეგა იძულებული შეიქნა, სადღაც, ქუჩაში შუქნიშნის წითელ სიგნალს არ დამორჩილებოდა და ასე დაეღწია მავანთაგან თავი.

შეგახსენებთ, რომ როგორც მაღალი კლასის არბიტრი, გრემ პოლი ევრო 2000-საც ემსახურებოდა და მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატსაც, მაგრამ სამივეჯერ საკმაოდ ადრე გამოუშვეს შინ.

„სამ დიდ ტურნირზე ვარ ნამყოფი — ამბობს პოლი — სამივეგან ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ დატრიალდა. იცით, ერთხელაც რომ არ გაგიმართლებს, თავს შეიძლება უიღბლო კაცი უწოდო, ხოლო როდესაც სამჯერ მოგეცრება ხელი, უნდა მიხვდე, რომ რაღაცაშია საქმე“.

და მაინც, რაშია საქმე?

აბა, ამას ჩვენ როგორ გეტყვით. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის, ანუ შარშანდელი ამბავი მოგიყვეთ. თავად არ გახსოვთ, რა მოხდა? რა და, საბრალო გრემ პოლმა ხორვატ იოსიპ შიმუნიჩს ერთ თამაშში სამჯერ ამოუღო ყვითელი ბარათი...

„საშინელება დამემართა... იმდენი ვიტირე... ალბათ, სიკვდილის წინ ჩემი ბოლო ფიქრი სწორედ ეს იქნება: რატომ? თითქოს, მე გამაძევეს მოედნიდან. თავი გავიმასხარავე და თან, მაინც და მაინც მსოფლიოს ჩემპიონატზე. სხვა მსაჯებს ვემალებოდი, ისინი კი მოდიოდნენ და მამშვიდებდნენ. დევიდ ბექემმა და ალექს ფერგიუსონმა დამირეკეს. დევიდმა ინგლის — პორტუგალიის მეოთხედფინალური მატჩის წინა დღეს დამირეკა. უნდოდა, რამით დამხმარებოდა. მან მითხრა, რომ ყურადღების ცენტრში ყოფნის სიძნელეები კარგად ესმის, რადგან მისი ოჯახი თავად არის ამ დღეში. მისმა ზარმა და მხარდაჭერამ ძალიან გამამხნევა. სერ ალექსმა მკითხა, მართალია, შენზე რომ ამბობენ, ამის გამო გადადგომას აპირებსო? მე ვუპასუხე, რომ ტყუილია. ამის გაგონებაზე მან ბრძანა: „მადლობა ღმერთს. შენნაირი ძლიერი მსაჯი როგორ შეიძლება, სადმე მიდიოდეს. თავად კარგად იცი, რომ შენ დიდი მატჩების გასაძღოლად ხარ დაბადებული“.

დაიწყო ახალი სეზონი. თავიდან თამაშებზე დაცინვის მოლოდინით გავდიოდი და თავს ვუბნებოდი: შენ სიცოცხლით სავსე ბიჭი ხარ, ყველაფერს გაუძლებ. მაგრამ, როდესაც ტრიბუნებიდან გარითმული დაცინვა მომესმა, გული მეტკინა. ისინი მართლები იყვნენ და ყოველ დაძახებაზე ახალ იარას მაყენებდნენ“.

ბოლოს კი შემორჩენილი ციტატით ისევ იმ თემას დავუბრუნდეთ, რომლითაც ეს წერილი დავიწყეთ — პოლის ბრძოლა ინგლისურ ფეხბურთში დანერგილი მსაჯთა უპატივცემულობის წინააღმდეგ.

„სანამ არ დაამტკიცებენ, რომ არბიტრმა რამე დააშავა და ამ მტკიცებულებას წყალი არ გაუვა, ის სრულიად უდანაშაულოდ უნდა ითვლებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯობის ინსტიტუტს ვერ დავიცავთ და სისტემა თავზე დაგვენგრევა“ — განაცხადა პოლმა.

**ბაჩუნა ქედია**

# ჟოზე მაურინიუ: არ ვარ მე საუკეთესო!



ამ გაგანია შვებულებისას ჟოზე მაინც მუშაობს: განაშია და იქაურ ბავშვებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს უტარებს

AFP

**ჟოზე მაურინიუმ** დაიჩემა, განსაკუთრებული კაცი აღარ ვარო. მეტიც, „ჩელსის“ პორტუგალიელი შეფი იხვეწება, მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელს ნუ მიწოდებთ, თუ მაინც და მაინც, ოთხი წარმატებული სპეციალისტიდან ერთი დამარქვითო.

და საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ მაურინიუსეულ ელიტარულ ოთხეულში პრემიერლიგის გამორჩეული მწვრთნელები ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი არ შედიან.

მაურინიუ: „არა მგონია, თაობის საუკეთესო მწვრთნელი ვიყო, მაგრამ აშკარად მივეკუთვნები ახალგაზრდა მწვრთნელთა ელიტარულ ჯგუფს, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია და თანამედროვე ფეხბურთზე გავლენაც იქონია. ამ ელიტ-ჯგუფის წევრებად მე, რაფა ბენიტესს, კარლო ანჩელოტისა და ფრანკ რაიკარდს მივიჩნევ. სწორედ ჩვენ ოთხმა მოვიპოვეთ ბოლო წლებში მსოფლიოს ყველაზე დიდი ტიტულები. ცხადია, კიდევ არიან ძლიერი მწვრთნელები, მაგრამ მე მათი დასახელება არ მინდა და არც მსოფლიოში საუკეთესოს სახელს ვეპოტინები. ჩემი სურვილია, საუკეთესოთა ჯგუფში ვიყო და სულ უმაღლესი შედეგები მქონდეს“.

მაშ ასე, პრემიერლიგელთაგან ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი ბენიტესი დაფასებულია, ქვეყნის ჩემპიონი ფერგიუსონი და ვენგერი კი ნახსენებიც არ გახლავან.

შემდეგ მაურინიუმ განაცხადა, რომ მისთვის სულერთია, რა ღირს ფეხბურთელი, 10 გირვანქა თუ 10 მილიონი გირვანქა, მთავარია, ის გუნდისთვის თავდადებული იყოს.

პორტუგალიელი მწვრთნელის მრავალმილიონად შეფასებული გუნდის წევრთაგან, ბუნებრივია, არიან ისეთები, რომლებიც მათში გადახდილ თითოეულ პენს ამართლებენ და არიან ისეთები, რომლებიც ვაგლახ... მაგალითად, 24-მილიონიანი მიკაელ ესიენი და 30-მილიონიანი ანდრეი შევჩენკო.

„როდესაც ფეხბურთელებს სათამაშოდ ვარჩევ, სულ არ ვფიქრობ, რამდენი გვაქვს მათში გადახდილი. მთავარი, რაც იმ წუთას თვალწინ მიდგას, ის გახლავთ, თუ რამდენად დაიხარჯა ესა თუ ის ფეხბურთელი ვარჯიშებზე, რომელიც მოცემულ თამაშს უძღოდა წინ. ვათამაშებ მათ, ვინც მეტ ხარისხსა და თავდადებას მიჩვენებს და სულ არ მაინტერესებს, 10 გირვანქად არის ვინმე ნაყიდი თუ 10 მილიონ გირვანქად. მაგალითად, ესიენში გადახდილი თანხა ერთი წამით არ მენანება. მიკაელი ის ფეხბურთელია, რომელიც საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს და შეუძლია, სტაბილურობა ათი თვის განმავლობაში შეინარჩუნოს. ის გუნდში რამდენიმე ფუნქციას ართმევს თავს და ჩვენთვის მეტად საგანგებო კაცია“.

შემდეგი თემა მომავალი წლის აფრიკის თასის გამო „ჩელსის“ ხუთი წამყვანი ფეხბურთელის მოსალოდნელი მოსაკლისება იქნება. ზემოხსენებული ესიენი, დიდიე დროგბა, ჯონ ობი მიკელი, სალომონ კალუ და ჯერემი ნჯიტაპი — აი, ფეხბურთელები, რომელთა გარეშეც მოუწევს პორტუგალიელს ერთი ხნის განმავლობაში ამოცანების გადაწყვეტა.

„ძნელია იმასთან შეგუება, რომ 15 დღის განმავლობაში წამყვან ფეხბურთელებს უნდა დაემშვიდობო — თქვა მაურინიუმ — შევეცდები, „ჩელსის“ აფრიკელ ვარსკვლავთა ქვეყნების ფედერაციებს მოველაპარაკო და ეს ბიჭები უშუალოდ შეჯიბრების წინ გაუშვა, მანამდე კი ჩემთან იყვნენ“.

**ბაჩუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნანი



# სასერო და სასეირო 4-2-3-1

## პორტუგალიური ფრთები და ბრაზილიური გული

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი უნიჭიერესი ბიჭი იყიდა. 19 წლის ბრაზილიელი პლეიმეკერი ანდერსონი „პორტუდან" (17 მილიონი გირვანქა) და 20 წლის ნანი „სპორტინგიდან" (14 მილიონი).

ინგლისის ჩემპიონის პრესმდივანმა განაცხადა: „ფეხბურთელებთან და კლუბებთან ყველაფერი შეთანხმებულია. სამედიცინო შემოწმების შემდეგ კონტრაქტს გავაფორმებთ".

ორივე ტრანსფერი ერთ დღეს, 30 მაისს მოგვარდა. „მანჩესტერის" მწვრთნელი კარლუშ კეირუში და აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი დილით ლისაბონში ჩაფრინდნენ და ნანის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა შეაძლიეს.

ამის მერე, თავდაჯერებულებმა პორტუსკენ გასწიეს ანდერსონის სანახავად. პორტუში შეიტყვეს, რომ ლისაბონში, მათი წამოსვლიდან სამი საათის შემდეგ, „ტოტენჰემის" სპორტული დირექტორი დამიენ კომოლი ჩავიდა და „სპორტინგს" 14 მილიონი შეაძლია ნანიში, ოთხი მილიონით მეტი, ვიდრე „მანჩესტერმა".

მანჩესტერელთა საბედნიეროდ, დამიენ კომოლიმ ნანის აგენტი ჟორჟე მენდეში ვერ ნახა და გარიგებაც ვერ გაჩარხა. მენდეში კრიშტიანუ რონალდუს აგენტიცაა და ანდერსონის წარმომადგენელიც. ისიც პორტუს გზაზე იყო დამდგარი ანდერსონის საქმის მოსაგვარებლად. „პორტუს" ბრაზილიელის ტრანსფერი უცბად, 17 მილიონ გირვანქად მოგვარდა.

კეირუში და გილიც ლისაბონში დაბრუნდნენ. იქ კი ნანიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, „ტოტენჰემი" არ მინდა, „მანჩესტერი" მინდაო. ჰოდა, გილმაც ოთხი მილიონი გირვანქა დაამატა და 14 მილიონად ნანიც დაისაკუთრა.

ნანი — სრული სახელი ლუიშ კარლუშ ალმეიდა და კუნია 1986 წლის 17 ნოემბერს ამადორაში დაიბადა. კარიერა იქვე „რეალ დე მასამაში" დაიწყო და ერთი წლის შემდეგ „სპორტინგმა" წაიყვანა. ძირითად შემადგენლობაში 18 წლისამ ითამაშა და პირველ სეზონში 6 გოლი გაიტანა. სანაკრებო დებიუტისას დანიასთანაც შეაგდო გოლი და მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.

ანდერსონი — ანდერსონ ლუიშ დე აბრეუ ოლივეირა დაიბადა პორტუ ალეგრეში 1988 წლის 13 აპრილს. 1993 წლიდან „გრემიოში" იყო და 2004-ში კი პირველად ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში და იმ სეზონში ხუთ მატჩში ერთი გაიტანა. ანდერსონი ძალიან ტექნიკურია და სისწრაფეზე ფინტების კეთება საუცხოოდ ეხერხება. „პორტუში" 2005 წლიდანაა, მაგრამ მთავარ გუნდში მისი დებიუტი 2006-ის 5 მარტს შედგა.

„მანჩესტერიდან" გამოჟონილი ამბის თანახმად, ალექს ფერგიუსონი მომავალ სეზონში 4-2-3-1 სქემით თამაშს აპირებს. აქედან, ნახევარდაცვის სამეული მარცხნიდან მარჯვნივ ასეთი იქნება: ნანი, ანდერსონი, კრიშტიანუ რონალდუ. მათ ზურგს მაიკლ კარიკი და პოლ სქოულზი გაუმაგრებენ, ფორვარდი კი უეინ რუნია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვაი, თქვენს პატრონსო





**ლეგენდარულმა** ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჟაირზინიომ, რომელმაც 1970 წლის მუნდიალზე გოლი უკლებლივ ყველა შეხვედრაში გაიტანა და „სამბა მოცეკვავეთა" მესამედ გაჩემპიონებაში ლომის წვლილი შეიტანა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სტივ მაკლარენს გადაწყვეტილება დაუწუნა, დევიდ ბექჰემი ნაკრებში როგორ დააბრუნაო.

ვინ ჰკითხავს ჟაირზინიოს? — ბუნებრივია, ასეთი იქნება ამ სიტყვების წამკითხველთა პირველი რეაქცია, თუმცა დასმულ კითხვაზე პასუხიც ადვილია: დღეს, განახლებულ „უემბლიზე" ინგლისის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში ბრაზილიას ეთამაშება და ინგლისურ პრესაში ბრაზილიის შესახებ წერილები მოხშირდა. მათ შორისაა ჟაირზინიოს აზრიც, რომელიც ოდინდელ ვარსკვლავს ინგლისელმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს...

„ბექჰემის ნაკრებში დაბრუნება ნამდვილი ხუმრობაა. დღევანდელის დარ ვითარებაში ბრაზილიაში ახალი თაობისკენ ტრიალდებიან, ინგლისში კი, როგორც ჩანს, ძველ დროში უნდათ დაბრუნება. იქნებ მეც ჩამოვხსნა ჩემი ბუცები კედლიდან?"

ირონიით აღსავსე 62 წლის ჟაირზინიო ამასთან ერთად აცხადებს, რომ ბრაზილია ინგლისისთვის მეტად მაღალი დონისაა.

„ბრაზილიელებსა და ინგლისელებს ან სხვა ერებს შორის ტექნიკაში მეტისმეტად დიდი სხვაობაა. ინგლისსა და სხვა ქვეყნებში ბურთით იმდენს არ ვარჯიშობენ, რამდენსაც ჩვენთან. თქვენ ყველას ხანგრძლივი ცვლილებები გჭირდებათ, ტექნიკის განვითარებაზე აქცენტით. აი, ახლაც, ინგლისმა რომ მოიგოს, ინგლისელები იტყვიან, რომ არავითარი ცვლილება და განვითარება არ არის საჭირო, ხოლო თუ ბრაზილია მოიგებს, ინგლისელები იტყვიან, რომ ცვლილება საჭიროა, მაგრამ არაფერს შეცვლიან. ასეა მთელი ცხოვრება" — განუცხადა ჟურნალისტებს ჟაირზინიომ.

**ბაბუნა ბედია**

# რომი, სახლში იციან? პასი მომე, შვილო!

**41 წლის** რომარიოს ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრებში უნდა. პანამერიკული თამაშები 13-29 ივნისს რიო დე ჟანეიროში გაიმართება, ნაკრების მწვრთნელმა ლუჩო ნიზომ კი უკვე დაასახელა შემადგენლობა. 17-წლამდელებში თამაშის უფლება ამ ასაკს გადაცილებულ სამ ფეხბურთელსაც აქვს და რომარიო იმედოვნებს, რომ მისი ადგილიც მოიძებნება. ბოლოს მან პენტაკამპეონებში 2005-ის აპრილში გვატემალასთან ითამაშა.

შეჯიბრის ორგანიზატორებმა 20-წლამდელები მიიწვიეს, მაგრამ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია სამი წლით პატარებს აგზავნის, რადგან ოცწლამდელები მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადაში მიდიან.

„ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია — თქვა ჭაღარა რომარიომ — ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ პატარების ნაკრებში მათამაშებენ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირში. ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ გამომიძახებენ".

რიო დე ჟანეიროს მერი სეზარ მაია რომარიოსკენაა, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა კი წინააღმდეგია.

„მხოლოდ 17-წლამდელები!" — თქვა პრეზიდენტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფლაკის 16-თვიანი სიგარეტი

**კოკაინის** მყნოსავ ფრანჩესკო ფლაკის 16-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. „სამპდორიას" ფორვარდი 28 იანვარს „ინტერთან" მატჩის შემდეგ შეამოწმეს და რამდენიმე დღის შემდეგ ანალიზმა კოკაინი დაადასტურა. მეორე ტესტმაც ნარკოტიკი აჩვენა და მას მერე ფლაკი მოკვეთილი იყო ფეხბურთიდან, ახლა კი ვადები დაუდგინეს. ანტიდოპინგურმა კომისიამ მოთამაშის ორი წლით დასჯა ითხოვა და საქმე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს გადასცა.

დაკითხვაზე ფლაკიმ განაცხადა, რომ 26 იანვარს, მეორე ვაჟის დაბადების შემდეგ, სიგარეტი მოწია და სულაც არ უეჭვია მასში კოკაინის შემცველობა.

ფლაკი შარშან შემოდგომაზეც იყო ორი თვით მოკვეთილი, რადგან ფსონების დადებაში ამხილეს.

სამპდორიელი მოედანს 2008 წლის 22 ივნისს დაუბრუნდება.

# კანუტი ტრეზეგეს ტოლია?

**„ტუტოსპორტის"** ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა" უეფას თასის მფლობელ „სევილიას" გაცვლა შესთავაზა — ტურინელები დავიდ ტრეზეგეს დაუთმობენ, სანაცვლოდ კი მალელ ფრედერიკ კანუტს ითხოვენ.

უკვე დიდი ხანია, ამბობენ, რომ ფრანგ ფორვარდს „იუვეში" დარჩენა აღარ სურს და სხვა კლუბში გადასვლას ლამობს.

# პარკერი მოგვარებულია

**„ჩარლტონის"** ყოფილი ნახევარმცველი სკოტ პარკერი, რომელიც ახლა „ნიუკასლშია", ალბათ ისევ დაბრუნდება ლონდონში, ოღონდ „ვესტ ჰემში". „ჩაქუჩები" მის სანაცვლოდ 7 მილიონ გირვანქას იხდიან. ვესტჰემელთა აღმასრულებელი შეფი სკოტ დაქსბარი ნიუკასლელებს შეხვდა და ფასზე მოურიგდა. თვითონ პარკერი კი რამდენიმე დღეში საკუთარი კონტრაქტის პირობებს შეათანხმებს „ჩაქუჩებთან".

# ბარსა ხუმრობს, ოლა იცინის

**„ლიონმა"** უარი უთხრა „ბარსელონას" ერიკ აბიდალზე. ამის შესახებ ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ განაცხადა.

„კატალონიელებმა აბიდალში ხავიერ სავიოლა შემოგვთავაზეს. ჩვენ ვუთხარით, რომ ხუმრობას თავი დაანებონ და სერიოზული წინადადებით მოგვმართონ" — თქვა ოლამ, რომელიც საფრანგეთის ნაკრების მცველში 20 მილიონ ევროს ითხოვს.

ჩემპიონატის ზედიზედ მეექვსედ მომგებ „ლიონში" იციან, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს წასვლა უნდა. მაგალითად, ფლორენ მალუდას, ვინც 25 მილიონი ევრო ღირს, მაგრამ კლუბისთვის ოფიციალურად არავის მიუმართავს.

„ერთადერთი კლუბი „იუვენტუსია", რომელმაც ტიაგუს და კრისის ყიდვა მოინდომა. მათ შევატყობინეთ, რომ თითოეული ეს ფეხბურთელი 20 მილიონი ევრო დაუჯდებათ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# 4571 დღე ფეხბურთელ რაულის დაბადებიდან

**მაშინ რაული ოდენ ჩვიდმეტისა იყო და მაისურაზეც 17 ნომერი ეწერა — ბუმბულივით მსუბუქმა, გამხდარმა და ყველასთვის უცნობმა გონსალეს ბლანკომ თვით ემილიო ბუტრაგენიო დასვა სათადარიგოთა სკამზე, რათა „ლა რომერადაზე" დებიუტი მოეწყო. ეს 1994 წლის 29 ოქტომბერს მოხდა. საამსეზონო პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურში კი აწ უკვე ლეგენდა რაულს და მის თანაგუნდელებს უმნიშვნელოვანესი ბრძოლა სწორედ „სარაგოსასთან", „ლა რომარედაზე" მოუწევთ. გონსალეს ბლანკოს დებიუტიდან 4571 დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მაშინდელმა უცნობმა ბიჭუნამ სამჯერ ლა ლიგა (1997, 2001, 2003) და სამჯერ ჩემპიონთა ლიგა (1998, 2000, 2002) მოიგო. ..**



**— როგორ გრძნობს თავს მადრიდის „რეალი"?**

— ძალიან კარგად.

**— ეს თქვენთვის განსაკუთრებული სეზონია?**

— საკმაოდ გაგვიჭირდა. კრიტიკის ქარცეცხლში მოვექცით და საქმე ზოგიერთმა უცნაურმა გადაწყვეტილებამაც გაგვირთულა. გუნდი აგებდა. ახალი ფეხბურთელები ვიყიდეთ და სტილი უნდა შეგვეცვალა. ჩემპიონთა ლიგაზე „ბაიერნთან" წაგების შემდეგ ბარსელონაში ნირწამხდარნი ჩავედით. მაშინაც ვთქვით და ახლაც ვთქვი, რომ გერმანელები „რეალზე" არაფრით უკეთესნი იყვნენ. მეტიც, ის ბოლო პერიოდის ყველაზე ცუდი „ბაიერნი" იყო... მოკლედ, „კამპ ნოუს" დაღონებულებმა მივაკითხეთ, თუმცა შესანიშნავად ვითამაშეთ და მივხვდით, რომ თუ ასე გავაგრძელებდით, პრიმერას მოგების შანსიც გაჩნდებოდა. გუნდმა ნელ-ნელა სტაბილურად, ძლიერად დაიწყო თამაში და ისეთი გამარჯვებები მოვიპოვეთ, რომლებზეც სამი თვის წინ ვერც ვიოცნებებდით. თუმცა ლიდერობა ნამდვილად გვეკუთვნის — ეს ადგილი ბრძოლით დავიმსახურეთ. შესანიშნავი იქნება, ჩემპიონები რომ გავხდეთ — ქომაგთანაც ვალში ვართ. ამდენი ხანია, გუნდს ტიტული არ მოუგია.

**— გუნდი მხოლოდ საფეხბურთო თვალსაზრისით გამოსწორდა?**

— ფეხბურთში თითქმის ყველაფერი განწყობაზეა დამოკიდებული. თუ მხნედ ხარ, საქმესაც კარგად აკეთებ. ვფიქრობ, წლეულს ჩემპიონობას მოვახერხებთ.

**— უკვე სიბილესის შადრევანთან ფიესტის გამართვაზე ფიქრობთ?**

— ოქროს მედლების მოგება ადვილი არ იქნება. ჩემპიონატის ბოლო ტურამდე გამარჯვებულს ვერ გავარკვევთ. ჩემპიონობის კანდიდატი სამივე გუნდი ეცდება, დარჩენილი მატჩები მოიგოს. „რეალს" „ლა რომარედაზე" რთული შეხვედრა ელის. „სარაგოსასთან" მატჩი ფინალივითაა და, როგორც ფინალს შეეფერება, ისე ვითამაშებთ. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

**— კრიტიკოსები ჩააჩუმეთ?**

— მშვენიერ ფორმაში ვარ. საერთოდაც, ეს სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ახლა თავდასხმაში ვთამაშობ და კრიტიკოსებს იმით ვაჩუმებ, რომ გოლები გამაქვს. ეს რომ ვერ გამეკეთებინა, ხალხი იტყოდა, რაული გაუფასურდაო.

**— მწვრთნელებმა პოზიცია რამდენჯერმე შეგიცვალეს. მიუხედავად უკმაყოფილებისა, როგორ შეძელით, კვლავ „ბერნაბეუზე" დარჩენილიყავით?**

— მე „რეალის" ერთგული ვარ და ეს ყველაფერზე მაღლა დგას.

**— „რეალში" თქვენი დებიუტი „სარაგოსასთან" შედგა და ახლა „ლა რომარედაზე" შეიძლება ჩემპიონობაც მოიგოთ...**

— ხშირად მახსენდება ჩემი დებიუტი, ოღონდ „სარაგოსასთან" დაკავშირებით სხვა, უფრო მძიმე მატჩსაც ვიხსენებ. „რეალის" კრიზისი არაგონელებთან თასზე წაგების შემდეგ დაიწყო და გამიხარდება, თუ „სარაგოსასთან" მოგებით ახალ ციკლს დავუდებთ დასაბამს. ეს თამაში განსაკუთრებული იქნება, ვალის გადახდაა საჭირო.

**— ხომ არ გეშინიათ?**

— „სარაგოსას" ძლიერი შეტევა ჰყავს. თან მატჩი სტუმრად გვაქვს და იქაური წნეხის ატანა მოგვიწევს...

**— ამ სეზონში ყველაზე ლამაზად რომელი გუნდი თამაშობს?**

— „სევილიას" სათამაშო სტილს ლამაზს ვერ დავარქმევთ, თუმცა ანდალუზიელები სტაბილურად, ძლიერად და სწრაფად თამაშობენ. „სევილიას", ისევე როგორც „ბარსელონას", შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს. „რეალმაც" საკმაოდ კარგად ითამაშა, თუმცა ჩვენს გუნდში სანახაობრივ ეფექტზე მეტად მეომარი სულის დაბრუნება მახარებს. მგონი, ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილებას ვტოვებთ... პრიმერა რომც ვერ მოვიგოთ, „რეალის" გამოცოცხლებით მაინც კმაყოფილი დავრჩები.

**— ადრინდელთან შედარებით, „რეალის" თამაში მართლაც გამოსწორდა...**

— ყველაფერი შეიცვალა — ფეხბურთელები, კომენტარები, კრიტიკაც კი... გუნდს სჯერა, რომ მოგების კარგი შესაძლებლობა აქვს. შეცდომათა უმეტესობა გამოვასწორეთ, თუმცა ზოგი რამ ჯერაც კორექტირებას საჭიროებს.

**— მიუხედავად ბოლოდროინდელი შესანიშნავი მატჩებისა, „ბერნაბეუს" გასახდელში უკმაყოფილონი ხომ არ არიან?**

— თითოეულს საკუთარი შეხედულება გვაქვს, მაგრამ ერთ საერთო იდეას ვემსახურებით. ბიჭები მეტოქეთათვის ისე საშიში გახდნენ, როგორც არასდროს — გუტი, რომელიც „სევილიას" ნახევარ საათში ასამარებს, იგუაინი, „უელვასთან" ლომივით რომ ითამაშა და რობერტო კარლოსი, რომელმაც 80 მეტრი ირბინა, სანამ გოლს შეაგდებდა. აი, ეს არის ცვლილება. როცა ყველამ ჩამოგვწერა, სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ „რეალს" ნებისმიერის დამარცხება შეუძლია.

**— სამუელ ეტოომ ჟურნალისტებთან თქვა, რომ „ბარსას" გასახდელში ჩამშვებები არიან — რაც უნდა თქვა, მეორე დღეს პრესაში გამოჭიმავენო. ხომ არ შეცდა კამერუნელი, მედიასთან ასე გულახდილად რომ ილაპარაკა?**

— სამუელი ძლიერი პიროვნებაა და საქმეების მიჩუმათება არ უყვარს. მას აზრის გამოხატვის თავისი სტილი აქვს, მე კი — ჩემი. ხანდახან გუნდზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე საკუთარ თავზე. მიუხედავად ამისა, ეტოოს დიდ პატივს ვცემ. ვფიქრობ, რომ მას მადრიდის „რეალში" ტრიუმფი უნდოდა. იცით, რა სურდა ეტოოს „მალიორკაში" იჯარით ყოფნისას? „რეალში" დაბრუნება და არა „ბარსაში" თამაში, როგორც ეს მოხდა.

# კაკამ კაკა მილანს მიაბარა
## წამიყვანეთ და წამოვალ



**კვლავ** კაკა და კვლავ „რეალი". უკვე გაცნობეთ, რომ სამეფო გუნდი „მილანის" ჯადოსნური ბრაზილიელის ხელში ჩასაგდებად 60 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. ახლა კი ფეხბურთელის ფარულ მადრიდულ სიმპათიებზე გიამბობთ. კაკამ ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში სამეფო თეთრების მისდამი დაინტერესების ფაქტი აღიარა და განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა „სანტიაგო ბერნაბეუზე".

მედიასთან შეხვედრა ლონდონში მოხდა, სადაც კაკა თავის ნაკრებთან ერთად იმყოფება. პენტაკამპეონები დღეს „უემბლიზე" ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

„რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რომ მადრიდის „რეალი" ჩემი შეძენით დაინტერესდა. ძალიან მახარებს ეს ამბავი. „რეალის" სატრანსფერო სამიზნე შარშანაც ვიყავი, თუმცა მე „მილანში" ჩემპიონთა თასი მოვიგე და იტალიაში თავს მშვენივრად ვგრძნობ. „ბერნაბეუზეც" სიამოვნებით ვითამაშებდი, ოღონდ რაიმე ცვლილების მოსახდენად საჭიროა, „რეალმა" „მილანთან" შეთანხმებას მიაღწიოს" — აღნიშნა ბრაზილიელმა.

გამოდის, სიტუაცია შარშანდელთან შედარებით არ შეცვლილა — კაკას ისევ ძველებურად სურს „რეალში" თამაში (ამის შესახებ „სამეფო გუნდში" მყოფი ყველა ბრაზილიელი აცხადებს), თუმცა არც „მილანიდან" გაპარვა უნდა და მადრიდელებს მიანიშნებს, რომ სილვიო ბერლუსკონი დაიყოლიონ.

„ასმა" სავარაუდო ტრანსფერზე აზრის გასაგებად ბრაზილიელ კოლეგებს მიაკითხა.

„კაკა „რეალში" გადასვლის სურვილით იწვის, ოღონდ პირველ ნაბიჯს არანაირ შემთხვევაში არ გადადგამს" — თქვა „ო გლობოს" კორესპონდენტმა ფერნანდო დუარტემ.

ხოლო ბრაზილიური ESPN-ის წარმომადგენელმა ანდრე პლიალმა განაცხადა: „ვინც კაკას ვიცნობთ, ვიცით, რომ გულწრფელი, ღირსეული ბიჭია და მიზნის მისაღწევად „მილანთან" მიმართებაში ეშმაკობას არ იკადრებს. თანაც, მან იტალიაში მარკეტინგის იმპერია ააშენა და სივრცის შეცვლა გაუჭირდება".

**ლადო ხომერიკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## დევიდ სიმენი

მეკარე

დაიბადა 1963 წლის 19 სექტემბერს როტერჰემში

სიმაღლე: 1,93 მეტრი, წონა: 85 კგ

კარიერა: 1982-84 წლები — „პიტერბრო" (91 მატჩი), 1984-86 წლები — „ბირმინგემი" (75), 1986-90 — „ქუინზ პარკი" (141 მატჩი), 1990-2003 წლები — „არსენალი" (405 მატჩი), 2003-04 წლები — „მანჩესტერ სიტი" (19 მატჩი)

1988-2002 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (75 მატჩი)





## JAGUAR XK8

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,760 მეტრი

სიგანე: 1,830 მეტრი

სიმაღლე: 1,295 მეტრი

| 16043 | კასტელონი-პონფერადინა | 1.25 | 3.40 |
| 16044 | სპორტინგი-სოსიედადი | 1.32 | 3.00 |
| 16045 | ჰერკულესი-ლორკა | 1.24 | 3.60 |
| 16046 | ლას პალმასი-სალამანკა | 1.25 | 3.40 |
| 16047 | მურსია-რეალი(ბ) | 1.30 | 3.00 |
| 16048 | ნუმანსია-ეხიდო | 1.45 | 2.45 |
| 16049 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 1.23 | 3.60 |
| 16070 | ორჰუსი ფრ-ბრაბრანდი | 1.45 | 2.45 |
| 16071 | ჰელერუპი-ტისტედი | 1.50 | 2.30 |
| 16072 | ფრემი-ლიუნგბიუ | 2.45 | 1.40 |
| 16074 | ჰერფიოლგე-ფრედერისია | 2.40 | 1.45 |
| 16075 | კოლდინგი-კოგე | 1.40 | 2.55 |
| 16076 | სიონდერიისკე-ნესტვედი | 1.32 | 3.00 |
| 16093 | კონგსვინგერი-ბრინი | 1.85 | 1.80 |
| 16094 | მანდალი-სოგნდალი | 2.45 | 1.40 |
| 16095 | ნოტოდენი-სპარტა ს | 1.45 | 2.45 |
| 16096 | სკეიდი-რაუფოსი | 1.55 | 2.20 |
| 16097 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 1.75 | 1.85 |
| 16155 | ინგლისი-ბრაზილია | 1.80 | 1.85 |
| 16156 | ავსტრალია-ურუგვაი | 1.62 | 2.05 |
| 16157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 2.40 | 1.45 |
| 16159 | შვეიცარია-არგენტინა | 2.40 | 1.45 |
| 16160 | მექსიკა-ირანი | 1.11 | 5.70 |
| 16161 | აშშ-ჩინეთი | 1.08 | 5.00 |
| 16162 | კოსტა რიკა-ჩილე | 1.58 | 2.10 |
| 16163 | ვენესუელა-კანადა | 1.17 | 4.10 |
| 16164 | პერუ-ეკვადორი ნ | 2.20 | 1.50 |
| 16175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.12 | 4.60 |
| 16176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 1.50 | 2.30 |
| 16177 | უელსი-ჩეხეთი | 3.30 | 1.25 |
| 16179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 6.70 | 1.02 |
| 16180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.05 | 5.70 |
| 16181 | ფინეთი-სერბეთი | 1.95 | 1.70 |
| 16183 | მაკედონია-ისრაელი | 2.20 | 1.52 |
| 16184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 2.05 | 1.62 |
| 16185 | ბოსნია-თურქეთი | 2.90 | 1.32 |
| 16186 | დანია-შვედეთი | 1.58 | 2.10 |
| 16189 | ესტონეთი-ხორვატია | 5.70 | 1.11 |
| 16190 | ლატვია-ესპანეთი | 5.70 | 1.11 |
| 16191 | ბელგია-პორტუგალია | 2.90 | 1.32 |
| 16193 | სლოვენია-რუმინეთი | 2.45 | 1.40 |
| 16194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.17 | 4.10 |

## გოლი: ლუწი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17039 | ალავესი-ვალიადოლიდი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ალბასეტე-სერესი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | ალმერია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17042 | კადისი-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17043 | კასტელონი-პონფერადინა | 1.85 | 1.95 |
| 17044 | სპორტინგი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | ჰერკულესი-ლორკა | 1.85 | 1.95 |
| 17046 | ლას პალმასი-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17047 | მურსია-რეალი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ნუმანსია-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17049 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ორჰუსი ფრ-ბრაბრანდი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ჰელერუპი-ტისტედი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ფრემი-ლიუნგბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰერფიოლგე-ფრედერისია | 1.85 | 1.95 |
| 17075 | კოლდინგი-კოგე | 1.85 | 1.95 |
| 17076 | სიონდერიისკე-ნესტვედი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | კონგსვინგერი-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | მანდალი-სოგნდალი | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ნოტოდენი-სპარტა ს | 1.85 | 1.95 |
| 17096 | სკეიდი-რაუფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ინგლისი-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ავსტრალია-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სამხრეთ კორეა-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | შვეიცარია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17160 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | აშშ-ჩინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | კოსტა რიკა-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ვენესუელა-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17164 | პერუ-ეკვადორი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | უელსი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ფინეთი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | მაკედონია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ბოსნია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | დანია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ესტონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ლატვია-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ბელგია-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | სლოვენია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი — 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €



ლეიტონ ჰიუიტმა გასტონ გაუდიოზე სამი წლის წინანდელი ჯავრი იყარა

### კაცები

### მეორე წრე

**ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 6:3 6:7 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (6, სერბეთი) — ლორენ რეკუდერი (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3 6:1; **დავიდ ფერერი** (12, ესპანეთი) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:4 6:3 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (16, კვიპროსი) — კრისტიან პლესი (დანია) 7:5 6:3 6:4; **იან ჰაჭეკი** (ჩეხეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 1:6 6:2 7:6 3:6 6:2; **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (18, გერმანია) 7:6 6:1 6:1; **კარლოს მოი ა 23,** (ესპანეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; **ხუან პაბლო ბრეჟიკი** (არგენტინა) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 7:6 6:2 6:0; **ლეიტონ ჰიუიტი** (14, ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 4:6 3:6 6:2 6:4 6:2; **იარკო ნიემინენი** (20, ფინეთი) — მატიე მონკური (საფრანგეთი) 6:1 6:1 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფლავიო ჩიპოლა (იტალია) 6:2 6:1 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (23, რუსეთი) 6:4 6:4 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 3:6 3:6 6:4 7:6 6:3; **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:1 6:2 1:6 7:6

### ქალები

### მეორე წრე

**სერენა უილიამსი** (8, აშშ) — მილაგროს სექუერა (ვენესუელა) 6:0 7:6; **ანა ივანოვიჩი** (7, სერბეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:1 6:4; **იოანა ოლარუ** (რუმინეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3 6:0; **შაჰარ პეერი** (13, ისრაელი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:1 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (17, სლოვენია) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:4 6:2; **ლუსი შაფაროვა** (25, ჩეხეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:0 6:1; **აი სუგიამა** (21, იაპონია) — მეილენ ტუ (აშშ) ; **პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:3 6:2; **კარინ კნაპი** (იტალია) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 2:6 6:3; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — გიზელა დულკო (29, არგენტინა) 7:5 1:6 8:6; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი** (24, ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:5 6:4; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — მარტინა მიულერი (32, გერმანია) 6:3 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 7:6 6:3; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3 6:7 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — აგნეს სჟავაი (უნგრეთი) 6:4 6:7 6:4

## შარაპოვა, როგორც ძროხა ყინულზე

**წვიმით** გაჯერებული კიდევ ერთი დღე მიილია პარიზში, სადაც ბუნებამ არა და არ დააყენა საშველი გამოდარებას. გუშინაც გვარიანად აიწეწა სათამაშო გეგმა, რაც იმას ნიშნავს რომ მომდევნო დღეებშიც მატჩების გრაფიკში დიდი დომხალი იქნება. ჰოდა, ამით თავმობეზრებულმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ უიმბლდონს მიბაძონ და უახლოეს წლებში ცენტრალური, პიერ შატრიეს სახელობის კორტი გადახურონ.

წინა დღეების ხმაურიანი სენსაციების შემდეგ გუშინ ყველაფერმა საკმაოდ ჩუმად ჩაიარა და მოულოდნელიც არაფერი მომხდარა. ამიტომაც ძირითადად ფავორიტების მატჩებზე მოგვიწევს საუბარი.

პირველი წრის შეხვედრასთან შედარებით გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა „როლან გაროსის“ მოქმედი ჩემპიონი რაფაელ ნადალი. ესპანელმა ჯადო ბიჭმა აღარ მისცა თავს მოშვების უფლება და ფლავიო ჩიპოლას საათნახევარზე ოდნავ მეტში გამოუყვანა წირვა, რითაც საკუთარი სტატუსი კიდევ უფრო გაამყარა და მის ფორმასთან დაკავშირებული კითხვებს ძახილის ნიშანი დაუსვა.

დღის მატჩი ლეიტონ ჰიუიტისა და გასტონ გაუდიოს შეხვედრა გამოდგა, სადაც ავსტრალიელმა მინიგმირობა ჩაიდინა და ორსეტიანი ჩამორჩენა აღმოხვრა. თუმცა ეს შეხვედრა უპირველესად გაუდიოს მიერ უკანასკნელ სამ წელიწადში განცდილი რეგრესის მინიატურული გამოსახულება გახლდათ. 2004 წელს „როლან გაროსის“ მოგების შემდეგ ამ არგენტინელის კარიერა სწორედ ისე განვითარდა, როგორც ამ მატჩში საწყისი წარმატებების შემდეგ — სამი წლის წინ თიხნარის ერთ-ერთ უპირველეს სპეციალისტად მიჩნეულმა პატაგონიელმა პარიზში ტრიუმფის მერე ნელ-ნელა უკლო და წლეულს თავის საყვარელ საფარზეც ამაზრზენად გამოიყურებოდა. გაუდიო ერთხანს ჩოგბურთიდან წასვლასაც გეგმავდა და პარიზში ჩასვლას არც აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და საყვარელ ტურნირზე მაინც გამოჩნდა. მაგრამ აგერ… მოკლედ, პირველ ორ სეტში გაუდიომ ის თამაში აჩვენა, რომლის მეშვეობითაც სამი წლის წინ პარიზში იჩემპიონა. ამის შემდეგ კი კორტზე ის არგენტინელი იყო, რომელიც ბოლო ხანებია, ყველგან ყველასთან აგებს.

მეორე მხრივ კი ჰიუიტსაც ნუ დავუკარგავთ დიდებულ თამაშს და საბრძოლო სულს, რომლის საშუალებითაც ავსტრალიელმა ჩამორჩენა აღმოფხვრა და ამასთანავე გაუდიოზე სამი წლის წინანდელი მარცხისთვის შური იძია. მაშინაც ახლანდელივით დიდებულ ფორმაში მყოფ ოზ ბიჭს არგენტინელმა მეოთხედფინალში მოუგო და მერე იჩემპიონა კიდეც. თუმცა აგერ, ჰიუიტმა სისხლი აიღო და ახლა იარკო ნიემინენზე ილესავს კბილებს.

მესამე წრეში ერთნაირად იოლად გაივლნენ ესპანელები — დავიდ ფერერი და გამოცდილი კარლოს მოია. ორივე პირინეელმა უპრობლემოდ, სამ სეტში იხეირა.

ოდნავ გაუჭირდა ამ ბარიერის გადალახვა ნოვაკ ჯოკოვიჩს. ახალგაზრდა სერბს მასპინძელმა ოლივიე რეკუდერმა სეტი კი აართვა, მაგრამ მეტს ველად გასწვდა.

„დიდი ზეწოლის ქვეშ მიწევს თამაში. ჩემში ყველა მსოფლიოს საუკეთესო ორი მეჩოგნის უმთავრეს მეტოქეს ხედავს, რაც დამატებით პასუხისმგებლობას მაკისრებს“ — წუწუნებდა ნამატჩევს ჯოკოვიჩი.

სენსაციური არაფერი ყოფილა ქალთა ბადეშიც. ამიტომაც მარია შარაპოვას ამბით დავიწყოთ, რომელმაც აშკარად მოუმატა და გამოცდილ ამერიკელ ჯილ კრეიბასს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. არადა, კრეიბასმა პირველი ორი მოწოდება მოიგო და თითქოს მაშასაც პრობლემები უნდა ჰქონოდა, მაგრამ რუსმა პრიმამ დამატებითი სიჩქარე ჩართო და ზედიზედ 11 გეიმში იმარჯვა. ასეთი წარმატების მიუხედავად, შარაპოვა მაინც წუწუნებდა, თიხნარზე თამაში არ მიყვარსო:

„არ მიყვარს აქ თამაში. ისე ვგრძნობ თავს, როგორც ძროხა ყინულზე. ეს იმის ბრალია, რომ თიხნარზე წელიწადში მხოლოდ ორი თვე მიწევს თამაში და ამიტომ უბრალოდ, ამ საფარს შეჩვეული არ ვარ“.

მესამე წრეშია სერენა უილიამსიც, რომელმაც ამჯერად სეტწაუგებლად იმარჯვა. თუმცა ამერიკელი ბაყბაყდევი მაინც ვერ იყო დამაჯერებელი და მილაგროს სექუერას მეორე პარტიაში ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, სერენას ბლომად თავსატეხს გაუჩენდა.

**კახა ლომაშვილი**

## მარატის მარადი პრობლემა

### საფინი წასვლაზე ალაპარაკდა

მარატ საფინმა ძალიან მწარედ აღიქვა „როლან გაროსის“ მეორე წრეში იანკო ტიპსარეჩისგან მარცხი. პარიზში დიდი იმედებით ჩასული რუსი გოლიათი უკვე მერამდენედ ვერ ახერხებს თავისი დონისთვის საკადრისი თამაშის ჩვენებას, რაც მას ძალიან აღიზიანებს და უკვე ჩოგბურთიდან წასვლაზეც ფიქრობს



— თქვით, რომ ვერ ხსნით საკუთარ თამაშში არსებულ კონტრასტებს. იქნებ დაანებოთ თავი შოპენჰაუერის კითხვას და რამე ოპტიმისტურზე გადაერთოთ?

— იქნებ საერთოდ დავანებო კითხვას თავი? კორტზე ყოფნისას რაც უფრო ცოტას ფიქრობ, მით უკეთესია.

— შედეგი ერთია, მაგრამ თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მარცხს?

— უნდა მომეგო, და თანაც სამ სეტში, მაგრამ სამ სეტში წავაგე. როცა იცი, რა უნდა გააკეთო და მაინც აგებ, ყოველთვის ორმაგად უსიამოვნოა. არადა, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა მოსაგებად და მეგონა, იოლად ვიმარჯვებდი, მაგრამ როცა ამ ცოდნის კორტზე გადატანა მომიხდა, ყველაფერი გაცილებით ძნელი აღმოჩნდა.

— მაინც რა დაგაკლდათ გამარჯვებამდე?

— რაღაც, და ეს რაღაც რა არის, წარმოდგენა არ მაქვს. იქ ბურთს ვერ დაეწევი, აქ აუტში გადავარდება და ეგ არის — ეს პატარა ნიუანსებია, რომლებიც ერთად დიდ პრობლემად იქცევა და მოგების საშუალებას არ გაძლევს. ხშირად სიტუაციის კარდინალურად შესაცვლელად ერთი-ორი ქულა გაკლდება. არადა, პირველი სეტი რომ მომეგო, ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა.

— ერთხელ ახსენეთ, რომ არ იცით, დარჩებით თუ არა ჩოგბურთში. ამ წელიწადს მაინც ჩაამთავრებთ?

— რა თქმა უნდა. საქმის სანახევროდ მიტოვება არ მინდა. უბრალოდ, შევხედავ, სიტუაცია როგორ განვითარდება. თუ მექნება თამაშის სურვილი, დავრჩები, თუ არა… დასაკარგი არაფერი მაქვს. ისედაც საკმარისს მივაღწიე კარიერის განმავლობაში და ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მივიღებ თუ არა ჩოგბურთისგან სიამოვნებას. იმისთვის დარჩენას ნაღდად არ ვაპირებ, რომ მაჩანჩალებში, ან თუნდაც 30-ეულში ვიყურყუტო. ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ფორმას აღვიდგენ და თამაშის სურვილიც შემრჩა. არ ვამბობ, რომ არ მინდა და არ შემიძლია, არ ვიზავ უბრალოდ საზიზღრობაა, როცა რის გაკეთებასაც ცდილობ, ძირითადად არ გამოგდის.

## სამნი წინ, ერთი უკან

**სტამბოლში** ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში პირველი ჩვენებური დამარცხდა. საწყისი წრე იქ მოთამაშე ოთხივე ქართველმა დაძლია და მეორე ეტაპზე კი სოფო ქვაცაბაიამ ველარ ივარგა — 17 წლისა და რეიტინგში 878-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ კატარინა ბრაუნთან 3:6 5:7 დამარცხდა.

ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილმა სოფო შაფათავამ პირველის დარად, მეორე მეტოქესაც იოლად მოუგო — 17 წლის და კლასიფიკაციის 1370-ე ნომერი, ბულგარელი ჰულია ველევა 6:4 6:1 დაჯაბნა. მეოთხედფინალში სოფო ან მე-2 ნომრად განთესილ თურქ კაგლა ბუიუკაკჩაის შეხვდება, ანაც ბულგარელ იაკლინ ალავის.

მე-8 ნომრად განთესილმა მანანა შაფაქიძემ კვალიფიკაციიდან წამოსულ 16 წლის რუს ანასტასია შილინსკაიას 6:3 6:4 სძლია და ახლა, მეოთხედფინალში, მისი მეტოქე, ან ტურნირის პირველი ნომერი, გერმანელი რია დოერნემანი იქნება, ანაც შაფათავას მიერ ძლეული ბულგარელის და, ლუტფია ველიევა.

რაც შეეხება სტამბოლში მოთამაშე მეოთხე ქართველს, თინა ყაულაშვილმა წუხელ, მეორე წრეში, სლოვენიელი მაია კამბიჩი 6:3 6:3 დაამარცხა და მეოთხედფინალში მე-4 ნომრად განთესილ 24 წლის ბერძენს, რეიტინგში 599-ე ადგილზე მყოფ ანა კოუმანტუს დაუპირისპირდება.

# რამაზ-ლამაზი ჩემპიონობა

## რუსთავის შვილმა ტიტული რუსთავს და შვილებს მიუძღვნა



ალბათ არავინ გვიწყენს, თუ ვიტყვით, რომ „აზოტის“ ეს ჩემპიონობა ყველაზე მეტად რამაზ გოგობერიშვილზეა ალალი. ის ყველა იმ ფინალური სერიის მონაწილეა, რომელშიც რუსთაველებს უთამაშიათ. თუმცა თამაშიცაა და თამაშიც — გოგობერიშვილი მუდამ ლიდერობდა „აზოტს“ და არ გვეგულება ქომაგი, მისი თამაში რომ არ აღაფრთოვანებდა. რამაზი „აზოტის“ ერთგვარ სიმბოლოდ იქცა და სანამ რუსთაველებს ყველანაირი საარსებო სახსარი არ გადაეკეტათ, გუნდი არ დატოვა. 2002 წელს ის უპატრონოდ დარჩენილი „აზოტიდან“ „დინამოში“ გადავიდა, თუმც ვერც იქ გახდა ჩემპიონი და ეს ოცნება მომავალ სეზონში „სტუ-ჯეოსელში“ აისრულა. ჩვენს თხოვნაზე, მაშინდელი და წლევანდელი ჩემპიონობა შეედარებინა, გოგობერიშვილმა გვითხრა...

— ჩემპიონობა ჩემპიონობაა, მაგრამ რუსთავში მოგებული სულ სხვა განცდაა, სხვა სიხარულია. არ შემიძლია, სიტყვებით გადმოვცე ის, რაც ამ გამარჯვებით განვიცადე. დღესაც არ გამნელებია სიხარული, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „აზოტთან“ ერთად მოვახერე ჩემპიონობა.

— არადა, ამის შანსი აქამდე ოთხჯერ გქონდა. როგორ გახსენდება წაგებული ფინალები?

— წაგების გახსენება ძნელია, თუმც „აზოტმა“ ყველა ფინალი ღირსეულ ბრძოლაში დათმო და ვთვლი, რომ ყველას მოგება შეგვეძლო. ჩვენი მთავარი სენი ემოციურობა იყო და ამის გამო ბევრი დავკარგეთ. ნერვები რომ მოგვეთოკა, დარწმუნებული ვარ, ეს ტიტული „აზოტისთვის“ პირველი არ იქნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ... ამ სეზონში ჩვენი გუნდი ყველაზე გაწონასწორებული და მშვიდობისმოყვარე იყო. წარმატება ამანაც მნიშვნელოვნად განაპირობა.

— ეს ფინალიც რომ წაგეგოთ, რას იზამდი?

— ალბათ გულიც გამისკდებოდა. ფინალი ახლაც რომ ვერ მოგვეგო, ძალიან მძიმედ გადავიტანდი.

— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?

— რაც შემეძლო, ბიჭებს და გუნდს გვერდში დავუდექი. მოედანზე გატარებულ დროს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ საერთო საქმეში მეც შევიტანე წვლილი და ის დავალება, რაც მწვრთნელმა მოგვცა, შევასრულე. ჩვენი მთავარი მიზანი დაცვაში კარგი თამაში იყო და ეს შესანიშნავად შევძელით.

— 3:0-ს ელოდი?

— 3:1-ს ველოდი. ნაღდად არ მეგონა, რომ მშრალად დავამარცხებდით „ავიამშენს“.

— მოგებას ვის უძღვნი?

— რუსთაველ ქომაგებსა და ჩემს ორ შვილს.

— ახლა რას აპირებ, „აზოტში“ დარჩები?

— ეს ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. ჩემი სურვილი „აზოტში“ დარჩენა და გუნდის წინსვლაში მონაწილეობაა.

— ევროპულ სარბიელზეც?

— იმედია, ევროპაზეც გავალთ. ხელმძღვანელობას თითქმის გადაწყვეტილი აქვს, რომ „აზოტმა“ რომელიმე ევროტურნირზე ითამაშოს. საამისოდ გუნდის შემადგენლობას მნიშვნელოვნად გააძლიერებენ და, იმედი მაქვს, ქართული კლუბი საერთაშორისო სარბიელზე თავს არ შეირცხვენს.

**ირაკლი ბერტაია**

# სიენა იწყებს და აგებს

**წარუმატებლად** დაიწყო ნახევარფინალური სერია ვლადიმერ ბოისას „სიენამ“. სერია A-ს ჩემპიონობისთვის მომართული სიენელები „რომას“ მასპინძლობდნენ და არავინ რომ არ მოელოდა, 14 ქულით დამარცხდნენ.

„სიენამ“ რეგულარული ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო და პლეი ოფის პირველი რაუნდიც რიხით განვლო, მაგრამ...

„რომა“ მეოთხე ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში ქართულპასპორტიანი ტაირონ ელისის „ნაპოლის“ გადაუარა, ახლა კი „სიენაზეც“ გაიწია. დეიან ბოდიროგას წინამძღოლობით რომაელებმა ერთი ამოსუნთქვით მოუგეს „სიენას“ და მოედნის უპირატესობა წაართვეს.

ვლადიმერ ბოისამ მხოლოდ 5 წუთი ითამაშა და სამი ქულის მითვლა მოასწრო. მომდევნო მატჩი ორი დღის შემდეგ რომში გაიმართება.

**ირაკლი ბერტაია**

# PLAYOFFS 2007

# სან ანტონიოში კენტი ჰყვარებიათ

## იუტას ჯაზი დაუწუნეს

„სან ანტონიო“ ფინალშია, მეოთხედ ტიმ დანკანის ეპოქაში. საზოგადოდ ასეთი ტენდენცია შეინიშნება — რაც ტეხასელებს ხელში ეს მარგალიტი ჩაუვარდათ, ყოველ მეორე წელს გადიან ფინალში — 1999, 03, 05 და 07. „დეზებს“ მხოლოდ 2001 წელი ჩაუვარდათ, მაშინ მათ დასავლეთის ფინალამდე მიაღწიეს, იქ კი შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის „ლეიკერსს“ ველარ გასცდნენ. დანკანის 10-წლიან კარიერაში სხვა ყველა კენტი დაბოლოების წელიწადს კი „სან ანტონიო“ ფინალშია. და თქვენ ფიქრობთ, იქიდან ერთხელ მაინც წამოსულა ხელცარიელი? 1999, 03 და 05 ფინალების ტრიუმფატორი გახლავთ. ახლაც, რეგულარული ჩემპიონატის მონაცემების მიხედვით, რანგით მომცრო გუნდს, „დეტროიტს“ ან „კლივლენდს“ შეხვდება და ნებისმიერთან შესამჩნევი უპირატესობა ექნება.

30 მაისი

### დასავლეთის ფინალი

**სან ანტონიო 4:1 იუტა**

**სან ანტონიო 109:84 იუტა**

**სან ანტონიო:** პარკერი (21), ფინლი (9), ბოუენი (6), დანკანი (21), ობერტო (7); ჯინობილი (12), ბერი (9), ელსონი (9), ვონი (8), ბონერი (5), უდრიჰი (2), ჰორი

**იუტა:** უილიამსი (11), გარიჩეკი (5), კირილენკო (13), ბუზერი (9), ოქური (8); ჰარპრინგი (11), მილსაპი (8), ბრიუერი (7), არაუხო (7), ბრაუნი (3), ფიშერი (2), კოლინზი



ტიმ დანკანმა „სან ანტონიო“ მეოთხედ გახადა დასავლეთის ჩემპიონი

„სფურზის“ ბოლო მეტოქე კი ნამდვილად ვერ იყო მისი დონის და ზომის. „იუტას“ იმაშიც გაუმართლა, რომ შედარებით იოლი მოწინააღმდეგეები შეხვდა და კონფერენციის ფინალამდე მივიდა, იქ კი „ჯაზმენებს“ თავისი მელოდიის დამღერების საშუალებაც კი არ მიეცათ. „სან ანტონიომ“ მათ მხოლოდ ერთი თამაში დაუთმო, დანარჩენი ოთხი კი საშუალოდ 13,3 ქულით მოუგო.

„იუტა“ განსაკუთრებით ბოლო შეხვედრაში დაიჩაგრა. „ჯაზმენებს“ სან ანტონიოში 1999 წლის შემდეგ ზედიზედ 18 თამაში წაეგოთ. ახლაც ხომ იცოდნენ, რომ განწირულები იყვნენ და ტეხასში კარის გასაჯახუნებლად თუ ჩავიდნენ, მაგრამ ესეც არ დასცალდათ. „სფურზმა“ „ჯაზს“ პირველი მეოთხედი 19 ქულით მოუგო და მას შემდეგ სათოფეზეც აღარ გაიკარა. ბოლო მეოთხედში გრეგ პოპოვიჩმა ყველა ლიდერი დაასვენა და მასპინძლები სათადარიგოებით ეკინკლავებოდნენ „იუტას“. დამარცხებულთა თავკაცი ჯერი სლოუნი ჩიოდა, ჩვენ ჯერ სალამიც არ გვეთქვა, რომ მოგვცვივდნენ და ისეთები აგვიტეხეს, თამაშის სურვილიც კი დაგვიკარგესო.

ახლა „სან ანტონიო“ ერთი კვირა დაისვენებს და „დეტროიტსა“ და „კლივლენდს“ შორის მჯობნს შეხვდება. ესენი ჯერ ერთმანეთს ეტოლსწორებიან — აღმოსავლეთში ანგარიშია თანაბარია — 2:2.

**კოტე ყორშია**

# ბრაიანტის ანტი

## ლეიკერსში არმინდა-მინდა



„მინდა, რომ სხვა გუნდში გამცვალონ. დიახ... სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მე დავკარგე ამ გუნდისადმი რწმენა და წარმოდგენა არ მაქვს, აქ როგორ უნდა ვითამაშო“ — ივლდა რადიო იესპიენის სტუდიაში და ამას ამბობდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერი, ნბა-ს სამგზის ჩემპიონი და ორგზის სეზონის ბომბარდირი კობი ბრაიანტი.

ბრაიანტი 11 წელია ნბა-შია და სულ „ლეიკერსში“ თამაშობს, თუმცა კლუბი არაერთხელ დამდგარა თავისი სუპერვარსკვლავის დაკარგვის საფრთხის წინაშე. 2004 წელს ასეთი შემთხვევაც იყო, ხელმძღვანელებს „ლეიკერსის“ ორ ლიდერს შორის ერთი უნდა აერჩიათ — ან კობი ბრაიანტი ან შაკილ ონილი და ისინი ფსონს ახალგაზრდობაზე ჩავიდნენ — 32 წლის ონილს 26 წლის ბრაიანტი ამჯობინეს. კობის შვიდწლიანი და 136,6 (!!!) მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმეს, შაკი კი „მაიამიში“ გაცვალეს, სადაც ის 2006 წელს ჩემპიონი გახდა, ხოლო კობის „ლეიკერსი“ სამი სეზონიდან ორში პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან გამოვარდა, ერთხელ კი საერთოდ ვერ გავიდა იქ. მაგრამ დავუბრუნდეთ ბრაიანტის განცხადებას:

მე ამ გუნდში არ ვითამაშებო, იმდენჯერ და ისეთი ინტონაციით თქვა ბრაიანტმა და თან „ლეიკერსის“ ხელმძღვანელები ისე გასვარა, რომ აწრიალდა მთელი ლოს ანჯელესი. რამდენიმე საათის შემდეგ კი კობიმ „ჩვენება“ შეცვალა — „არსად არ მინდა წასვლა. ეს ჩემი გუნდია“...

თურმე ბრაიანტთან „ლეიკერსის“ მწვრთნელ ფილ ჯექსონს უსაუბრია და ამ უგამოცდილეს ფსიქოლოგს გადაურწმუნებია ტვინარეული ვარსკვლავი. სხვათა შორის, იყო დრო — სწორედ 2004 წელს ფინალში წაგების შემდეგ — რომ კობი და ფილი დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთს. მაშინ ჯექსონი გუნდიდანაც წავიდა და თქვა, მაგ ეგოისტის მწვრთნელი არასდროს ვიქნებიო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მოაბრუნა კლუბის მფლობელმა ჯერი ბასმა.

ძნელი სათქმელია, კობის განცხადებასთან კავშირშია თუ არა მაგრამ, იმავე დღეს პოლიციამ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო დააკავა 74 წლის ჯერი ბასი.

**კოტე ყორშია**

# იმედია, მოვასწრებ!

## 80 წლის ლევან ინწკირველს მიზანიც აქვს და მიზეზიც, რათა მიზანი ჰქონდეს



„დინამოს" სტადიონზე, კალათბურთელთა დარბაზში, ტანმორჩილი, გამხდარი კაცი შემოვიდა. ყველამ ვიცანით, ფეხზე წამოვდექით და მოწიწებით მივესალმეთ. გაირკვა, რომ ამიერიდან იგი ჩვენი მწვრთნელი იქნებოდა.

ის ვარჯიში ჩვეულებრივად ჩაატარა, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. მკაფიოდ და გასაგებად ხსნიდა კომბინაციებს, ბოლოს კი თავადაც ჩაერთო ორმხრივ თამაშში. ვიცოდით, რომ თავის დროზე დიდი კალათბურთელი იყო, მაგრამ ეს მამი ტოლა, ორმოცს გადაცილებული კაცი თუ სისწრაფესა და მოქნილობაში გვაჯობებდა 15-16 წლის ჭაბუკებს, ნამდვილად არ გვეგონა.

წამში გვეკარგებოდა ბურთიანად და ფარქვეშლა მოვკრავდით თვალს....

* * *

თბილისის „დინამომ" 1967 წლის სეზონი ჩააგდო. სასწრაფოდ შეცვალეს კლუბის ხელმძღვანელობა და მდგომარეობის რადიკალურად გამოსწოროებაც მოითხოვეს.

პირველივე სეზონში დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს. მომდევნო წელს ვერცხლს დაეუფლნენ, ევროთასების ფინალშიც ითამაშეს, შემოდგომაზე კი საბჭოთა კავშირის თასიც დაისაკუთრეს. გუნდის უფროსი მწვრთნელი მაშინ სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ინწკირველი იყო. ამ მიღწევისთვის ბატონ ლევანს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს და მან საკუთარი სურვილით პოსტიც დატოვა.

* * *

დღეს ბატონ ლევანს 80 წელი შეუსრულდა. იუბილართან ამ ეპიზოდის გახსენებით საუბრის დაწყება მომგებიანი არ არის, მაგრამ მილოცვის შემდეგ მაინც ვთხოვე, თითქმის 40 წლის წინანდელი გადაწყვეტილების მიზეზი აეხსნა

— ბოლო ორ სეზონში კარგი შედეგები გვქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, ვეტერანები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. ზოგი თვლიდა, რომ არასწორად ვაყენებდი შემადგენლობას, სხვას ალბათ მეტი სათამაშო დრო უნდოდა. გუნდში არაჯანსაღი სიტუაციის შექმნას ისევ გაცლა ვამჯობინე. საბჭოთა კავშირის თასის ფინალში კიევის „სტროიტელის" დამარცხების მეორე დღესვე გათავისუფლების შესახებ განცხადება დავწერე, მაგრამ ხელმძღვანელობა კატეგორიული წინააღმდეგი აღმოჩნდა. მოგვიანებით ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „დინამომ" იტალიურ „ფიდესთან" წააგო და ჩემი თხოვნაც დააკმაყოფილეს.

— მოარული აზრია — თამაშს გუნდი იგებს, მარცხი კი მწვრთნელის ბრალია. რამდენად სწორია ეს „ფორმულა"?

— მოედანზე მთავარი შემსრულებელი სპორტსმენია, მაგრამ მთელი მატჩის გეგმას მწვრთნელი ადგენს. კარგ ჩანაფიქრს შესაფერისი სოლისტი სჭირდება, ამიტომ მოგების შემთხვევაში ორივე ქებას იმსახურებს, ხოლო მარცხის შემთხვევაში, ორივეს ეთქმის საყვედური. ზემოთ ხსენებული „ფორმულის" სწორედ გაგებაც ასეთი უნდა იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. ჩვენი ცნობილი ვარსკვლავები: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია... ყველას ახსოვს, ხოლო შალვა დიასამიძე, გიორგი ავალიშვილი და სხვა მწვრთნელები ერთგვარად დავიწყების ჩრდილში მოექცნენ.

1944 წელს საბჭოთა კავშირის თასი ჩვენმა „დინამომ" პირველად სწორედ შალვა დიასამიძის ხელმძღვანელობით მოიგო, გიორგი ავალიშვილი კი მთელი ათწლეული ედგა გუნდს სათავეში. იმ პერიოდში სამჯერ გავიმარჯვეთ საკავშირო ჩემპიონატებში, ორჯერ დავეუფლეთ სსრკ თასს, მოვიგეთ „ქალაქების მატჩები" და საკავშირო „ზამთრის თამაშები". ქართული სპორტის ისტორიაში პირველი დუბლი 1950 წელს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა შეასრულეს, სეზონი კი ისე ვითამაშეთ, ზედიზედ დაახლოებით 70 მატჩი არ წაგვიგია.

დღესაც გვყავს ნიჭიერი მწვრთნელები და კალათბურთელები, თუმცა მთლად სწორი გზით არ მივდივართ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ჩამოიყვანეს ხორვატიიდან საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დრაგენ ბრაიკოვიჩი, ან რამდენიმე კვირაში როგორ უნდა მოამზადოს გუნდი კანადელმა გორდონ ჰერბერტმა?! მგონი, უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა ჩვენთან მოდაში შემოვიდა. იგივე სიტუაციაა ფეხბურთშიც. მწვრთნელებმა, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატების მატჩებსაც არ უყურებენ, სად უნდა იპოვნონ პერსპექტიული ბიჭები?! ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება დამამცირებელია ჩვენთვის.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ზედიზედ მეორე ციკლია, ფინელებს ვხვდებით და ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხეთ. სკანდინაველებმა გუნდური თამაშით გვაჯობეს, თუმცა ინდივიდუალური ოსტატობით ჩვენები უკეთ გამოიყურებოდნენ. ვფიქრობ, თბილისში ფინეთის ნაკრების დამარცხება სავსებით რეალურია, თუ სწორად წავიყვანთ თამაშს.

— ქართული კალათბურთი რომ ევროპულ დონეს საკმაოდ ჩამორჩება, ამას ყველა ვხედავთ. როგორ ფიქრობთ, 1991 წელს მიღებული გადაწყვეტილება სხვა ჩემპიონატებიდან გამოყოფის შესახებ ნაჩქარევი ხომ არ იყო?

— შედეგები თავად პასუხობს თქვენს კითხვას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაშიც და ნბა-შიც თამაშობენ ჩვენი ბიჭები, საერთო დონით ჩამოვრჩით. რუსეთმა და ბალტიისპირეთმა გაგვასწრო. შარშან ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობდა, წელს — ექვსი. აქედან ნახევარი თუ იბრძოდა რეალურად ჩემპიონობისთვის. განა შეიძლება, არ ჰყავდეთ გუნდები: ქუთაისს, ბათუმს, ფოთს?! ჩვენი მასშტაბებია ძალიან მცირე. სუპერლიგის კლუბებს დუბლშემადგენლობაც უნდა ჰყავდეთ. საჭიროა პირველი ლიგაც, ძლიერი სტუდენტური ლიგაც. კარგია, რომ დავიწყეთ ახალგაზრდული ჩემპიონატების ჩატარება, თუმცა მასობრიობამდე კიდევ შორს ვართ. ამ ფონზე სპორტსკოლების დაფინანსების შეწყვეტა დაღუპავს მთლიანად ქართულ სპორტს.

თავის დროზე საქართველოში ბევრი ძლიერი გუნდი იყო, საიდანაც საუკეთესო მოთამაშეები ჩვენს მთავარ კლუბში, თბილისის „დინამოში" ხვდებოდნენ. იმიტომაც თქვეს თავიანთი სიტყვა წინა თაობებმა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზეც. 50-იანი წლების ჩვენი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის ოთარ ქორქიას სიმაღლე სულ 190 სმ იყო, მაგრამ 1958 წელს, როდესაც თბილისის „დინამოს" სტადიონზე აშშ-ის ნაკრებს ვეთამაშეთ, მართალია, წავაგეთ, მაგრამ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ. ახლა წარმოვიდგინოთ, დღეს რომ ჩვენი და აშშ-ის ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს, როგორ დამთავრდება ეს მატჩი?!

— რადგან ამერიკელები ახსენეთ, გავიხსენოთ, რომ ნბა აშშ-ში გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბდა. დაახლოებით იმავე პერიოდში, უფრო ზუსტად კი 1944 წელს, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა პირველად გაიმარჯვა სსრკ ჩემპიონატში, რომელიც ჩვენს ქალაქში ჩატარდა. კალათბურთით თქვენი გატაცება ამ გამარჯვებამ ხომ არ განაპირობა?

— არა, მე ამ დროისთვის ფეხბურთს ვთამაშობდი და არცთუ ურიგოდ. როგორღაც ცუდი ამინდის გამო ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ და ვახტანგ ჯაფარიძემ, შემდგომში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა, „დინამოს" დარბაზში კალათბურთის თამაში შემომთავაზა. სპორტის ამ სახეობას მანამდე არც ვიცნობდი, მაგრამ მაინც წავყევი და, როგორც აღმოჩნდა, სამუდამოდ დავრჩი კალათბურთში. თუმცა ფეხბურთი იმდენად მომწონდა, პარალელურად რაიონის ნაკრებშიც გამოვდიოდი. როგორც ჩანს, ვიღაცამ იქაც შემამჩნია და თანატოლებთან ერთად თბილისი „დინამოს" ოსტატთა გუნდში გასინჯვაზე მიმიწვიეს. ჩემთან ერთად იყვნენ კოტე პაიჭაძე, პერსპექტიული მეკარე ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ჭკუასელი და სხვები. სწორედ იმ პერიოდში ყალიბდებოდა დინამოელთა სათადარიგო შემადგენლობა, მაგრამ რატომღაც დამეზარა და გასინჯვაზე არ წავედი. ზუსტად იმ დღეს ქუჩაში შემხვდნენ გოგი ავალიშვილი და ოთარ ქორქია, რომლებმაც მითხრეს, შალვა დიასამიძე ნაწყენია, ვარჯიშებს რომ აცდენო. მომერიდა ამ ასაკოვანი კაცის და ამგვარად, სრულიად შემთხვევით გაკეთდა ჩემი ცხოვრების არჩევანი.

— 60 წელია, საკალათბურთო სამყაროში ტრიალებთ. ჩვენი ყველა ოსტატის თამაშიც გახსოვთ. თუ შეგიძლიათ, შეადგინეთ საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები.

— ეს ძალიან რთული ამოცანაა, მით უფრო საქართველოში. შესაძლოა, ვინმე გამომრჩეს, ან იმ თანმიმდევრობით არ დავასახელო და ვიცი — ნახევარი თბილისი გამინაწყენდება, თუმცა შევეცდები, თქვენი თხოვნა შევასრულო. მანამდე კი ვიტყვი, რომ ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში თავად კალათბურთი შეიცვალა, უფრო მოძრავი, ათლეტური, სწრაფი გახდა და შესაძლოა, ჩემეული ვარიანტი ყველასთვის მისაღები არ იყოს.

ვინაიდან გუნდის ღერძი გამთამაშებელია, ამიტომ თავდაპირველად ამ ამპლუაში საუკეთესოს — გურამ მინაშვილს დავასახელებ. მას შეეძლო დაცვის ორგანიზებაც და მთლიანად გუნდის აწყობაც. მისგან განსხვავებით, ზურაბ საკანდელიძე ბრწყინვალე შემსრულებელი იყო. მათ ჩინებულ პარტნიორობას გაუწევდნენ: ვლადიმერ უგრეხელიძე, მიხეილ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვალელი ალთაბაევი.

არ გეგონოთ, უპირატესობას ძველ თაობას ვაძლევდე. მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ქორქია, ნიკოლოზ დეროუგინი, ამირან სხიერელი თავიანთი პერიოდის დიდი კალათბურთელები იყვნენ, ვფიქრობ, მათაც გაუჭირდებოდათ დღევანდელ გიგანტებთან — ზაზა ფაჩულიასთან, ვლადიმერ სტეფანიასთან ან გიორგი შერმადინთან პაექრობა, მეტისმეტად დიდია სიმაღლეში ამ ბიჭების უპირატესობა.

თქვენს კითხვაში მთავარი ისაა, რომ ქართული კალათბურთის ყველა თაობაში გვყავდა საერთაშორისო დონის დიდებული ოსტატები და ახლაც კარგი თაობა გვყავს. წარმატებებს კვლავაც მოვიპოვებთ, თუ სწორ პოლიტიკას შევარჩევთ.

— ბატონო ლევან, სპორტში უძლიერესები იმარჯვებენ, თუმცა თავად დიდ ჩემპიონებსაც აღუნიშნავთ, რომ ზოგჯერ იღბალიც საჭიროა. თქვენ თუ გწყალობთ ფორტუნა?

— ბედი ყველა ადამიანს სჭირდება და მათ შორის სპორტსმენსაც. 1949 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიმიწვიეს და მოსკოვში ოთარ ქორქიასთან ერთად ვემზადებოდი პრაღის მსოფლიო ფესტივალისთვის. ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი დელეგაცია ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებოდა და მე ჩემი სპორტული ფორმა ბატონ ოთარს გავატანე, რომელიც პირველი თვითმფრინავით გაფრინდა. ორი დღის შემდეგ მეც უნდა გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ვიღაცას გაახსენდა, რომ 1937 წელს მამა ტროცკისტობის ბრალდებით დაჭერილი მყავდა და ბოლო მომენტში დამტოვეს მოსკოვში.

— დიდი სპორტსმენები საქართველოში ყოველთვის გამორჩეული პატივითა და პოპულარობით სარგებლობდნენ. თქვენ არ გისარგებლიათ თქვენი პოპულარობით?

— ხალხის სიყვარული და სიმპათია ყველას სიამოვნებს. სპორტის სასახლის ათი ათასიანი ტრიბუნები შენ რომ გქომაგობენ, დიდებული გრძნობაა, თუმც პოპულარობით პირადად მე არასდროს მისარგებლია. პირიქითაც ყოფილა, მახსოვს, ერთმა პროფესორმა სამჯერ გამიყვანა გამოცდაზე კარგი კალათბურთელობა მისასალმებელია, მაგრამ ცოდნაც უნდა გქონდესო.

— ორმოცი წელია, ბავშვებს ავარჯიშებთ. კარგად იცით მათი ფსიქოლოგია. ეგებ აგვიხსნათ — რამ შეცვალა დღევანდელი მოზარდები, დანდობა, თანადგომა, მეგობრობა, სიყვარულის გრძნობა რომ დაკარგეს?

— ვიცი, ყველა პერიოდში უფროსი თაობა მომდევნო ახალგაზრდების უკმაყოფილოა, მაგრამ დღეს ძალადობამ იმძლავრა. ტელევიზიით სისტემატურად უყურებენ, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში მომხდარ საშინელებებს, მოდაში შემოვიდა დანა, იარაღი. მოზარდები ვერ იტანენ მწვრთნელის უბრალო შენიშვნასაც, შეიცვალა მათი ფსიქიკა. ცალსახად გამოსავალს ვერ ვპოვი. სკოლა, ოჯახი, სპორტი, საზოგადოება — ამათზე დაყრდნობით უნდა იბრძოლოს სახელმწიფომ მომავალი თაობებისთვის. მცირე ერი ვართ და გასაწირი მოზარდები ნამდვილად არ გვყავს.

— ბატონო ლევან, ვიცი, დღესაც ჭაბუკებს ავარჯიშებთ და კარგი ბიჭებიც გყავთ. საინტერესოა, თქვენს ასაკში, 80 წლის კაცის მიზანი რა არის?

— ჩემი მიზანიც და ცხოვრების აზრიც, პირველ რიგში, ჩემი ოჯახის ბედნიერებაა, შემდეგ კი ის საქმე, რასაც მთელი ცხოვრება ვაკეთებდი. ამ წლების განმავლობაში არა ერთი და ორი კარგი კალათბურთელი გამიზრდია. ახლანდელ თაობაში ეს გიორგი ნიკოლაძე, ვაკო ბეჟანიშვილი, ზურაბ კორკოტაძე, ირაკლი დილმელაძე და სხვები არიან. მინდა, კვლავაც ქართულ კალათბურთს ვემსახურო. მყავს გუნდი „იმედი" და იმედია, რამდენიმე კარგი კალათბურთელის გაზრდას კიდევ მოვასწრებ.

**გიორგი ფრანგიშვილი**

## ჭიდაობა

# თემურ ყაზარაშვილი და ორმოცი ქართველი


ბადრი კეთილაძის ფოტო

თემურ ყაზარაშვილი

**ხვალ-ზეგ** რუსთავის საკალათბურთო დარბაზში საჭიდაო ხალიჩები გაიშლება და მსოფლიოს ჩემპიონ თემურ ყაზარაშვილის სახელობის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ქართველი ბერძენრომაელების გარდა მასში აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და ისრაელის ნაკრებებიც ჩაერთვებიან.

„საქართველო ტურნირზე ოთხი შემადგენლობით გამოვა — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ომარ მოშიტაშვილმა* — ხალიჩაზე საქართველოს პირველობის ჩემპიონ-პრიზიორები გავლენ.

მოგეხსენებათ, ჭაბუკებში უფროსებზე სამით მეტი წონითი კატეგორიაა. ასე რომ, ჯამში ორმოცი მასპინძელი იჭიდავებს. ამ ტურნირს ჯერ მხოლოდ ოთხწლიანი ისტორია აქვს, საერთაშორისო კი იგი შარშან გახდა. მონაწილე დელეგაციებს თავიანთი მსაჯებიც ჩამოჰყვებიან".

ნაკრების თავკაც ვაჟა კრავეიშვილისთვის მომავალ ტურნირს დამატებითი დატვირთაც ექნება. ვარშავაში ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება და შემადგენლობა სწორედ ასეთი შეჯიბრებების შედეგებით უნდა გამოიკვეთოს. რუსთაველი ჭიდაობა კანდიდატებისთვის ბოლოსწინა გამოცდა იქნება. 21-26 ივლისის პოლონური ათეული კი სავარაუდოდ ორ კვირაში, ირანის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გამოიკვეთება.

**ოთარ გაღლაძელიძე**

## ოლიმპიზმი

# მიზანი ერთია: დოპინგის აღმოფხვრა

**„ტელეკომის"** ველომრბოლთა გუნდისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტის ექიმთა საქმის მხილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენის მიზნით სადისციპლინო კომისიის შექმნის თაობაზე განაცხადა.

„კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი დენის ოსვალდი, ხოლო მისი წევრები გახდნენ გუნილა ლინდბერგი და სერგეი ბუბკა — იუწყება სოკ-ის პრესსამსახური — კომისია წესების დარღვევათა საქმეებს გამოიკვლევს და თავის რეკომენდაციებს წარუდგენს სოკ-ს, რომელსაც დანაშაულებებზე თავისი ვერდიქტის გამოსატანად უფლებამოსილებანი გააჩნია.

დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა სოკ-ის უმთავრეს პრიორიტეტად ითვლება. ეს ორგანიზაცია „ნულოვან ტოლერანტობას" ემხრობა, რაც სადისციპლინო კომისიების შექმნითაც დაამტკიცა მაშინ, როცა გამოძიებები გახდა საჭირო. სოკ-ი ბოლო დღეების სადოპინგო მხილებებს აფასებს როგორც გამაწბილებელს, რაც ძალზე შემაშფოთებელია. ამიტომაც სოკ-მა საქმის გამოძიება და იმ მიზეზების შესწავლა განიზრახა, რასაც ოლიმპიურ თამაშებზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამასთან, სოკ-ი დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას რომ აგრძელებს, იგი თავის ძალისხმევას აერთიანებს სახელმწიფოების სახელისუფლებო ორგანოებთან, მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (ვადა) და მთელს სპორტულ სამყაროსთან. დოპინგთან ბრძოლა ეს არა მხოლოდ სინჯების აღებაა, არამედ განათლებაც. სოკ ახალგაზრდობას მოუთხრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც დოპინგს მათი ჯანმრთელობისთვის მოაქვს. იგი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ დოპინგი სპორტისადმი უნდობლობას თესავს და ძალზე ვნებს თავად სპორტსმენის იმიჯს".

# გაიარეთ და იქით გააბოლეთ

**გუშინ** მოწევის საწინააღმდეგო მსოფლიო დღე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც ჩინეთის დედაქალაქში მსოფლიოს ამ უდიდესი სპორტული ფორუმის მსვლელობისას მოწევა აიკრძალება.

აკრძალვა გავრცელდება თამაშების საშეჯიბრო ადგილებში, ოლიმპიურ სოფელში, სასტუმროებში, რესტორნებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, რომლებიც ოლიმპიადას დაუკავშირდებიან.

**ავთანდილ ბუკიზელი**

## ჰოკეი

# სტენლის თასის ფინალი

## დასავლეთი

## ანაჰაიმი 2:0 ოტავა

მეორე მატჩი

ანაჰაიმი 1:0 ოტავა

*0:0 0:0 1:0*

1:0 პალსონი (55, უასისტენტოდ)

# იხვმა სენატში დაივიტვიტა



**„ანაჰაიმმა"** ნახევარი საქმე უკვე გააკეთა — ზედიზედ მეორე საშინაო გამარჯვების შედეგად „იხვებმა" გიგანტური ნაბიჯი გადადგეს თავიანთი არსებობის ისტორიაში პირველი სტენლის თასის მოგებამდე. მთავარი კი ისაა, რომ კალიფორნიული გუნდი ჯერჯერობით აშკარად ჯაბნის მეტოქეს და დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, „ოტავას" სიტუაციის სათავისოდ შემობრუნება ძალიან გაუჭირდება.

გუშინდელი შეხვედრა არაფრით განსხვავდებოდა სერიის პირველი მატჩისგან — „ანაჰაიმი" ისევ გაცილებით ინტენსიური და ძალისმიერი იყო, მეტოქეს მინიმუმი შანსი მისცა და თავის მხრივ, გაცილებით მეტი მომენტი შექმნა. „ოტავა" შეეცადა, უფრო ფრთხილად და აკურატულად ეთამაშა, მაგრამ ამ წამოწყებიდან საერთოდ არაფერი გამოვიდა. სუპერშემტევი „სენატორები" ჯერჯერობით მეტოქის კართან ხეირიანს ვერაფერს ქმნიან, განსაკუთრებით თანაბარ შემადგენლობებში თამაშისას. „ოტავას" წინა ხაზის საამწუთო იმპოტენციის მაგალითად კალიფორნიელთა კარისკენ დარტყმების რაოდენობაც კმარა — პირველ შეხვედრაში „სენატორები" 20-ჯერ, გუშინ კი მხოლოდ 16-ჯერ დაემუქრნენ მეტოქის კარს. ორივე ეს მაჩვენებელი ანტირეკორდია სტენლის თასის ფინალებში მოთამაშე გუნდისთვის. მით უმეტეს, კატასტროფაა თავად „ოტავასთვის", რომელიც აქამდე პლეი ოფში საშუალოდ თითქმის იმდენჯერ აწუხებდა მეტოქის მეკარეებს, რამდენჯერაც ამ ორ შეხვედრაში ერთად აღებული. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჟან-სებასტიან ჟიგერის კლასის მქონე მეკარეს არ გასჭირვებია კარის მშრალად შენახვა, რაც მისთვის პირველი შატაუტი გამოდგა ამ პლეი ოფში.

ცალკე სასაუბრო თემაა „ოტავას" მთავარი დამრტყმელი სამეულის აბსოლუტური დამუნჯება — ჯეისონ სპეცას, დენი ჰიტლისა და დანიელ ალფრედსონს ჯერჯერობით არც ხელ-ფეხს და არც ყვანჯს არ აქნევინებენ. არადა, ბევრი რამ სწორედ ამ ტრიოს აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული — მათი გამოღვიძების გარეშე კანადელებს თითქმის არანაირი შანსი არ ექნებათ.

სამაგიეროდ, მხოლოდ აღფრთოვანებას იმსახურებს „ანაჰაიმის" სამეული, სამუელ პალსონ-რობ ნიდერმაიერ-ტრევის მოენის შემადგენლობით, რომელმაც ჯერ ერთი, თამაშიდან გამოთიშა სპეცას ტრიო, მეორეც, ზედიზედ მეორე შეხვედრაა, შედეგს აკეთებს. პირველ მატჩში გამარჯვების გოლი მოენმა შეაგდო ნიდერმაიერის პასით, გუშინ კი თავი პალსონმა გამოიჩინა, რომელმაც მშვენიერი რეიდი განახორციელა, შევარდა მეტოქის ზონაში და აულებელიც დააგრუხუნა.

„პალსონის სამეული და მათი დაცვა უბრალოდ გვკლავს. მათ ჯერ ვერაფერი მოვუხერხეთ, მაგრამ საკუთარ ყინულზე გაცილებით უკეთესად ვთამაშობთ და ეს საქმითაც უნდა დავამტკიცოთ" — განაცხადა ნამატჩევს „ოტავას" დამრიგებელმა ბრაიან მიურეიმ.

ასეა თუ ისე, სტატისტიკა აშკარად კანადური გუნდის წინააღმდეგ მოქმედებს. სტენლის თასის ფინალების ისტორიაში პირველი ორი მატჩის წამგები 30 გუნდიდან მხოლოდ ერთმა შეძლო სერიის სათავისოდ შემოტრიალება.

# წლის მესიე ჩელიოსია

**„დეტროიტის"** სუპერვეტერანს, 45 წლის კრის ჩელიოსს მარკ მესიეს სახელობის — „წლის ლიდერის" პრიზი მიენიჭა, რომელიც ნჰლ-ში წლეულს დაარსეს და მესიეც ყოველთვიურად გადასცემდა იმ ჰოკეისტს, ვინც ლეგენდარული კანადელის აზრით, უკეთესად ავლენდა ლიდერის თვისებებს. ჰოთდა, წლის საბოლოო დაჯილდოების დროც დადგა და საუკეთესოდ მესიემ ჩელიოსი ცნო.

„ჩემი კარიერის წლებიდან შეიძლება ბევრი ვერც გავიხსენო, მაგრამ ჩელიოსთან ერთ გუნდში თამაში არასოდეს დამავიწყდება. ყოველთვის განცვიფრებული ვიყავი მისი თამაშის კითხვის უნარით. გარდა ამისა, არასოდეს გამიგია ვინმეს მასზე ცუდი ეთქვას" — განაცხადა მესიემ.

პრიზის მიღება თავად ჩელიოსსაც ფრიად ესიამოვნა:



„რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ ამ პრიზის მიღებით. დიდი მადლობა მარკს თბილი სიტყვებისთვის, ასევე ყველას, ვინც ჩემთან ერთად თამაშობდა და თამაშობს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ნამდვილი გუნდი მოთამაშეთა მეგობრულ ურთიერთობებსა და ავტორიტეტზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული".

# 19 წლისა და უკვე კაპიტანი

**„პიტსბურგმა"** ბოლოს და ბოლოს გააკეთა ის, რასაც მისგან ჯერ კიდევ ამ სეზონის დასწყისში მოელოდნენ. გუნდმა თავისი უპირობო ლიდერი და აწ გასრულებული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი სიდნი კროსბი კაპიტნად აირჩია. „პინგვინების" ხელმძღვანელობამ შარშან ამ ნაბიჯისგან თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ შეიძლება, ეს ზედმეტად დიდი ტვირთი ყოფილიყო ახალგაზრდა ჰოკეისტისთვის, მაგრამ ამასთანავე, არც სხვა ვინმე დაასახელეს კაპიტნად. თუმც ამ სეზონში გამოვლენილი ლიდერის თვისებების გამო, როგორც ჩანს, „პიტსბურგში" ჩათვალეს, რომ კროსბიმ ეს პატივი უკვე დაიმსახურა.

სხვათა შორის, 19 წლის კროსბი ნჰლ-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი იქნება.

**კახა ლომაშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge